ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 34 (1369)

6-12 ნოემბერი, 1993 წ.

ვინ ხარ შენ, „ჯიმალეფის“ ავტორო, უგონო მოყვარე თუ ბრძენი მტერი?

მიმართვის იმ ტექსტებს, რომლებსაც ავტორები უგზავნიან დაპირისპირებული მხარის წარმომადგენლებს, რედაქცია იზიარებს, მხარს უჭერს და იწონებს.: ერთმა გზააბნეულმაც რომ გადადგას სწორი ნაბიჯი, დადოს იარაღი და აიცილოს ძმისმკვლელის საუკუნო ცოდვა, უკვე ბევრს ნიშნავს.

მაგრამ როდის უნდა ვისწავლოთ ქართველებმა უხინჯო და უზადო საქმის კეთება? რა უბედურება გვჭირს, რომ სადაც კარგია, იქ ცუდიც აუცილებლად გამოგვდის ხელიდან და ხშირად კასრ თაფლს კოვზი კუპრით ვაფუჭებთ, თუმცა ეს შემთხვევა საპირისპიროა — იმან, ვინც აღნიშნული მოწოდების ტექსტი მეგრულადაც შეადგინა, კუპრი, შხამი და სამსალა ჩაანთხია საქმეში. რაო, ვითომ სამეგრელოში არის ვინმე ქართული წერა-კითხვის არმცოდნე, რას ვუსვამთ ხაზს ამ მიმართვით და საით ვუბიძგებთ ჩვენს ისედაც ზოგიერთ თავგზააბნეულ სისხლსა და ხორცს.

ვინ ხარ შენ, „ჯიმალეფის“ ავტორო, უგვანო მოყვარე თუ ბრძენი მტერი?

ძმებო!

სამთავრობო ჯარები ზუგდიდს მოადგა, ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა მთელი საქართველო, დასასრულს უახლოვდება.

სამთავრობო ჯარები რამდენიმე დღეში მაღლიანად გაწმენდენ ყველა ტერიტორიას საკუთარი ხალხის სისხლიანი ჯალათებისაგან, ამიტომ მოგიწოდებთ დაყაროთ იარაღი, შეწყვიტოთ უაზრო წინააღმდეგობა.

ყველას (გარდა ბანდიტური ჯგუფების მეთაურების, მკვლელების და სამხედრო დამნაშავეებისა) ვინც შეცდით, მოტყუვდით ან იძულებით იყავით ჩათრეული, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და მთავრობა გპირდებათ შეწყალებას, ჰუმანურ მოპყრობას, საკუთარ ოჯახებში და ცოლ-შვილთან მშვიდობიან დაბრუნებას, ხოლო მკვლელები, მაოხრებლები და ბანდიტები სასტიკად დაისჯებიან საქართველოს კანონების მთელი სიმკაცრით.

ძმებო!

დროა მოეგოთ გონს! დაყაროთ იარაღი და გადმოხვიდეთ ჩვენს მხარეს, ამით შეინარჩუნებთ სიცოცხლეს და ოჯახებს, რადგან თქვენ, უბრალო ჯარისკაცები იძულებით ხართ ჩათრეული ძმათამკვლელ ომში.

ამ მოწოდების ფურცლის წარმოდგენის შემთხვევაში თქვენზე გავრცელდება მთავრობის მიერ გაცემული ყველა გარანტია.

ჯიმალეფი!

მთავრობაში ჯარეფქი ზუგდიდს ქუმადირთესი. ჯიმალეფს შქას ჩყუპი, ნამუქ მთელი საქორთუო გაუბედურონ, ამდღა დო ჭუმე გეთებუ.

მთავრობაში ჯარეფი ჟირ-სუმ დღაშა გოწიმინდანა არძა რაიონეფს დო ქალაქეფს ჯალძოეფშე დო ბანდიტეფშე.

გირჩიენთ ქიდარღვათ იარაღი დო მიოტუათ უაზრო წინააღმდეგობა.

არძას, მით ჩილათირ რე, ღორებულ რე, ძალათ რე ჩათრეული, კანონეფიშ საფუძველშა საქორთუოშ სახელმწიფო მეთაური დო მთავრობა არზენს პატიებაშ პირობას, მუშ ნათესეფშა დო ჩილღოსქუაშა დორთინა დო რინაშ გარანტიას.

კორიშ მაყვილარეფი, ბანდიტეფი დო ბანდაშ მეთაურეფი დასჯილ იყინა საქორთუოშ კანონეფიშ მთელი სისასტიკეთი.

ჯიმალეფი!

დეფიქრით, დიო ხოლო რე დრო გეგნოდგათ სწორი ნაბიჯი, ქიდარღვათ იარაღი დო გინღლათ ჩქინ ჭხარეშა, ათეთ თქვა შეინარჩუნენთ სიცოცხლეს დო ოჯახეფს, მუუშენდა თქვა უბრალო ჯარისკაცეფი ძალით რეთ ჩათრეული ჯიმალეფიშ მაყვილარ ჩხუპშა დო მუთუნ დანაშაულ ვაიღუნა.

ათე მოწოდებაშ ფურცელს მიდგა წარმოადგინენსნ თის გარანტირებული აფუ მთავრობაშე პატიება, ოჯახეფშა დორთა დო მშვიდობიანი ცხოვრება.

რატომ უნდა დაისაჯოს ზუგდიდი?!

ამ ბოლო ხანს ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები სამთავრობო პრესასა და ტელევიზიაში დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ თუ სამთავრობო ჯარები ზუგდიდში შევლენ, მოხდება საშინელი რამ, იმაზე გაცილებით უარესი, რაც ძარცვა, მაროდიორობა გახლავთ და მოუწოდებენ ზუგდიდის მოსახლეობას თვითონვე აყარონ იარაღი გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეთ და ამ გზით გადაარჩინონ ზუგდიდი და საკუთარი თავიც საშინელი სასჯელისაგან.

ერთი შეხედვით, ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ განცხადებებს ზუგდიდის მოსახლეობაზე და გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების დატვირთვაც აქვს და ალბათ, ეს ასეცაა, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის ამასწინანდელმა სატელევიზიო ინტერვიუმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ზუგდიდის შტურმს და იქ სამთავრობო ჯარების შესვლას მოყვება გაუთვალისწინებელი შედეგები, რომ „ზვიადისტების“ ღალატით, აფხაზეთსა და მიმდინარე ომში მეგობრების, თანამებრძოლების დაღუპვით გამწარებული ბიჭები შურს იძიებენ და ა.შ.

ყველაფერი შეიძლება გაიგო კაცმა. ისიც, რომ გამწარებული მეომარი, ვთქვათ, ვერ მოზომავს საქციელს, რომ შეიძლება ისე არ მოიქცეს, როგორც ეს ჯარისკაცს ეკადრება, მაგრამ ის, რაც ჩვენში ხდება დღეს, რაც სენაკში, აბაშაში, თუნდაც სამტრედიასა და მის მიმდებარე რაიონებში მოხდა და ხდება (და რასაც სამთავრობო პრესა და ტელევიზიაც არ მალავს), არათუ სამთავრობო ჯარებს, არამედ ტყის ყაჩაღებსაც კი არ ეკადრებათ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაროდიორობას, ძარცვა-გლეჯას ჯარისკაცების სახელით სხვებიც, ათასი ჯურის ბოროტმოქმედნიც სჩადიან.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ეტყობა, ვერ აკონტროლებენ სიტუაციას (ვგულისხმობთ ძარცვა-ყაჩაღობასა და მაროდიორობის აღკვეთას) და სამთავრობო ჯარების ზუგდიდში შესვლის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგებისაგან, ისე სჩანს, წინასწარ

გაგრძელება მე-2 გვ.

სამოქალაქო ომიდან «გამოქცეული» მებრძოლის ნაამბობი

სადაც არ უნდა იქუხოს, ქვა და ლორღი ჩვენ გვეყრება თავზე.

ეს ქართული ანდაზა მახსენდება ყოველთვის, როდესაც ნამარ ქართველ ბიჭებს ვხედავ.იმ ახალგაზრდებს,ვინც ყმაწვილკაცობის სიამენი ქვეშო ქართლის, სამაჩაბლოს და აფხაზეთის ტრაგედიების მონაწილის მწარე ბედზე გაცვალეს და ერთხელაც არ დაუწუწუნიათ თავიანთი გაზულუქებული თანატოლების ხილვისას, ერთხელაც არ შესჩენიათ გულში გაკეთებული საქმის ეჭვის ჭია, ერთხელაც არ დაუკვნესიათ, ისე ეწირებიან სამშობლოს.

ახლა ჩემს წინ ერთი მათგანია და, ჰოი საოცრებავ, მას ფრონტიდან გამოქცეული ჰქვია. ამ სამი-ოთხი წლის მანძილზე მის თავზე ბევრი იქუხა, ქვამაც და ლორღმაც მისთვის მოიცალა, სამაჩაბლოსაც უდგა გვერდით პატიოსან დარაჯად, აფხაზეთშიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა სოხუმს, დალის ხეობის გოლგოთაც გამოიარა და ახლა...

„გინდა დეზერტირი დაიძახონ, გინდა მოლალატე. მე იქ წამსვლელი აღარა ვარ“ არა და არავის გაუგდიავრ ძალით ზოგიერთივით, ჩემით წავედი. საერთოდ ბევრი წავიდა თავისით. უმრავლესობას სჯერა,როგორც კი ენგურს — აქეთ ავაზაკებს ბოლოს მოვუღებთ, ენგურს იქით გადავლენ ქართული ჯარები და იმ სირცხვილს, რაც მოგვაყენეს აფხაზებმა და მათმა დამქაშებმა, სისხლით ჩამოვირეცხავთ. მაგრამ,რაც ახლა სამეგრელოს რეგიონში ხდება, იმის აღწერა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. დაამთავრონ ერთმანეთის საქმის გარჩევა, მიადგნენ ჩვენი ჯარები ენგურის ნაპირებს და ისევ ისე დაუძახებლად წავალთ მეც და ჩემი მეგობრებიც. ახლა კი არ შემიძლია ამ ბანდიტების, ყაჩაღების, მოროდიორების და უბრალოდ ყოველგვარი ზნეობას მოკლებულ ადამიანის სახის პირუტყვების ცქერა. ასეთი ხალხი კი ორივე მხარეს არის და შუაში მოქცეული მოსახლეობა გმინავს ამ ხიტყვის პირდაპირი გაგებით. აბაშა ორ დღე-დამეს იძარცვებოდა. ვისგან? ვერ გაიგებ. ერთი ფორმა, ერთი ენა, ერთი მორალი, ერთი ზნეობა, უფრო სწორად უზნეობა. სენაკში ერთ დღეში მორჩნენ ყველაფერს. ერთი ქუჩა ავიღე ჩემი ბიჭებით, ვიცავდი. ასეთი შემოტევები მტრისგან არ მახსოვს აფხაზეთში. ჩემთვის მინდა ის ქუჩა მეთქი ვეუბნებოდი. მაგრამ ასეთი ქუჩები სენაკშიც და სხვაგანაც ძალზე ცოტა გადარჩა. ავტომანქანების კოლონები მოემართება აქეთ, თბილისისაკენ. აოასგვარი სიმდიდრით დატვირთულ მანქანებს არცოუ პატარა ჩინის ოფიცრები მოაცილებენ და ხელს ითბობენ. მანქანებიც ნაძარცვია და მათში ჩატვირთული ქონებაც. ღვთის წყალობით ჭონდა დოვლათი მეგრელ კაცს, არც შრომისმოყ-

გაგრძელება მე-2 გვ.

სასტამბო მიზეზების გამო ნომერში რესპოდენტთა სურათები არ იბეჭდება.

რატომ უნდა დაისაჯოს ზუგდიდი?!

დასასრული

რვე იხსნიან პასუხისმგებლობას და მისი მთელი სიმძიმე ისევ იქაურებზე, ზუგდიდელებზე გადაქვთ, რომელთა დიდ უმრავლესობას მშვიდი ცხოვრება, მუშაობა და საქმიანი ატმოსფერო დიდი ხანია ენატრება და სახელისუფლო სკამებისთვის მებრძოლთა ამბიციები მათთვის მხოლოდ სატანჯველია და სხვა არაფერი.

იმაზე საუბარი კი, რომ სწორედ ზუგდიდია „ზვიადისტების“ ციტადელი, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს ზუგდიდის მთელი მოსახლეობის დამსახურება იმდენად არ გახლავთ, რამდენადაც დღევანდელი ხელისუფლებისა, რომელმაც თავის დროზე ვერ შეძლო მოეგვარებინა ის პრობლემები, დღეს რომ ძმარს გვადენს ცხვირიდან და საკუთარი მოვალეობების ზუგდიდის მოსახლეობაზე გადაკისრებით ცდილობს საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის თვალში ნაცრის შეყრას.

დღევანდელმა ხელისუფლებმა, თუ მათ მართლაც სურთ ერის გამთლიანება, კონსოლიდაცია და საერთოდ, გონივრული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება და სურვილთან ერთად ეს ხელეწიფებათ კიდეც, მაშინ იმაზეც უნდა იფიქრონ, თუ რა დამღუპველი შედეგი შეიძლება მოყვეს მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებას და ბატონი ედუარდ შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზვიადისტების“ ჭირმოხდილი საქართველო უფრო დიდი და დაუძლეველი უფსკრულის წინაშე არ აღმოჩნდეს.

სერგო ჯანაშია

სამოქალაქო ომიდან «გამოქცეული» მებრძოლის ნაამბობი

დასასრული

ვარეობა აკლია და არც გონების სიმახვილე. სულიერა შეარჩინეს, ჩაფურთხებული სული. ვის მოეკითხება ყველაფერი ეს? იმათ ვინც ძარცვავენ თუ იმათ ვინც აძარცვინებს?

სამთავრობო ჯარს მიტმასნილ მძარცველებსა და იქით, ზვიადისტების მხარეს მყოფებს შორის არის განსხვავება. ზვიადისტი მძარცველი სახლში რომ შედის, ეკითხება პატრონს: „შეიძლება ბატონო, ეს ბურვაკი დაკლათ?“. ახლა რომ უთხრა, არ შეიძლება, სანაშენოდ მინდაო, დაკლავს მაინც, ისიც არ არის გამორიცხული, რომ გაბრაზდეს და შენც ზედ მიგაყოლოს, გააჩნია ვინ არის. აქეთა, მთავრობის ყაჩაღი არაფერს არ კუბნება — ეროს შეუტევს, შეაგინებს, უხ თქვენი ზვიადისტი დედაო და დატრიალდება ცოდვის კალო.

უმრავი ხალხი წამოვიდა უკან. ვერ შესძლეს ასეთი რამის ცქერა, ვერ აიტანეს. ჯერ ყველა ქართველს არ გასწყვეტია შუბლის ძარღვი. ხალხი ისეთ დონეზე მიიყვანეს, ერთნაირად სჯულთ ორივე ხელისუფლება და რაიმე რეალური, სერიოზული ძალა, რომ გამოჩნდებოდეს,ი ,მას დაუდგება გვერდში, ოღონდ გათავდეს ეს სოდომ-გომორი, მორჩეს ადამიანის დაცემის ამ საშინელი სურათის ხილვა.

ახლა სახელმწიფოს მეთაურმა ასეთი კატეგორიის ხალხის მიმართ ზომების მიღება და გამკაცრება მოითხოვა. მე არ ვიცი რას ნიშნავს გამკაცრება. კაცი, რომელიც კლავს იმისათვის, რომ მანქანა, თუნუქისა და რეზინის რაღაცა ჯართი წამოიღოს, უნდა მოკვდეს. ასეთი ზომების მიღების შესახებ კანონის შექმნა კი არ არის მთავარი, კანონის შემსრულებლის მოძებნაა უმთავრესი. მაგრამ, რაც ჩვენს გზებზე საქმეები ხდება, იმის დამნახავი ძნელად დაიჯერებს, რომ პოლიციას ძალუძს რაიმე სასიკეთო მოიმოქმედოს. იგი პარალიზებულია და დაშინებული.

ღმერთო, გვიშველეო ვამბობთ, რატომ გვიშველის ღმერთი ასეთებს? იქნებ ლოცვის მაგივრად ყველამ ჩვენს ნაძარცვით დატვირთულ შვილებს, ძმებს, ქმრებს ეუთხრათ, რომ შეჩერდნენ და ნუ აკეთებენ იმას, რაც მათზე და მათ შვილებზე ცოდვად გადმოვა.

მე ვერ შევძელი იმ ცოდვის შვილებისათვის ხელი შემეშალა. ვერც შევძელი მათ გვერდით ყოფნა, მაგრამ როგორც კი ენგურის ტალღები ჩვენი ტანკების მუხლუხებს დასველებენ, მე ვიქნები პირველი, ვინც იმ ტანკებს გადაჰყვება. სამშობლო უნდა დავიბრუნოთ, ქვეყანა უნდა მოვაწესრიგოთ და მე მჯერა, უწესრიგოებსაც ყურს ავუწეკთ. ერთსაც ვიტყვი, ტყვია არ გამისვრია სამეგრელოში, როგორც ჩავიტანე გაწმენდილი ავტომატი, ისეთივე წამოვიღე უკან. ასეთები ბევრია... ჩვენ საქართველოს სამანებთან უნდა დავცალოთ ჩვენი იარაღი და მერე მტრისა თუ ერთმანეთის გაუტანლობისაგან დანგრეული ქვეყნის აშენება დავიწყოთ.

ჩაიწერა
მერაბ მაისურაძემ

საპარლამენტო უმცირესობა — განტევების ვაცი

მიხეილ მახარაძე

ღრმა სახელმწიფოებრივი კრიზისის დროს უჩვეულო არაა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის ფუნქციონირების დროებით შეჩერება ან სულაც დათხოვნა. მსგავსი რამ მოხდა ჩვენ სინამდვილეშიც, რაც საბოლოოდ ამა წლის სექტემბრის თვის შუა რიცხვებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის მიერ პარლამენტის ფუნქციონირების დროებით შეჩერებით დასრულდა. ჩვენ შემთხვევაში საინტერესო იყო თვით საზოგადოების დამოკიდებულება პარლამენტსა და მის მუშაობაზე, რაც დაუფარავად იყო გაცხადებული საინფორმაციო საშუალებებით დაწყებული, ჰურის რიგებით დამთავრებული.

კვანძი კი მაშინ გაიხსნა, როცა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილმა თბილისის საზოგადოების ერთმა თვალსაჩინო ნაწილმა ოვაცია გაუმართა ახალგაზრდა კაცის მოწოდებას რესპუბლიკის პარლამენტის დათხოვნის თაობაზე. თვით ეს ფაქტი შეიძლებოდა სახუმაროდ მიგვეღო, საქმე უფრო სერიოზულ ვითარებასთან რომ არ გვქონდეს. აქ ხომ უპირველესად ჩვენი დაბალი პოლიტიკური კულტურაა გამჟღავნებული. საქმე ისაა, რომ პარლამენტი ხალხის არჩეულია და როდესაც მისი დათხოვნის მოწოდებას ოვაციით ხვდება საზოგადოების ისეთი ნაწილი, რომელსაც გარკვეული პრეტენზიები აქვს და ამასთან მეტრის ფუნქციასაც იღებს თავის თავზე, ეს სამწუხარო მოვლენაა და სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ მომდევნო ამგვარსაც შეხვედრაზე ქილიკის საგანი (თუ მეტი არა!) შეიქმნა და ერთდაგვარ ვანდეას უპირებდნენ პიროვნებას, ვინც მთელი თავისი არსებით ეროვნულ საქმეებზეა შეწირული და განსხვავებით გამქილიკებელთაგან, აფხაზეთის ომში იარაღასხმული იბრძოდა. მსაჯულების როლში კი სწორედ ისინი მოგვეელინენ, ვინც ამ მძიმე ომის ჟამს ტელეეკრანიდან, არც მეტი არც ნაკლები, თავი მხოლოდ ბაქიაობით დაგვამახსოვრეს.

ერთი სიტყვით, რაც სიძნელეები იყო საქართველოში, ამის მიზეზად პარლამენტის უნიათობა იქნა მიჩნეული და აქედან გამომდინარე მისი დროებით მაინც ფუნქციონირების შეწყვეტა ბუნებრივი მოვლენა იყო.

ნებისმიერი პარლამენტი კი მოგეხსენებათ მრავალფეროვანი სპექტრია და ერთნაირად მოაზროვნეებით არაა დაკომპლექტებული. ამ მხრივ არც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი ყოფილა გამონაკლისი. თითქოსდა სადავო არ უნდა იყოს, რომ პარლამენტის არაქმედითუნარიანობაზე პასუხისმგებელი პირველ რიგში მისი რაღაც ნიშნებით გაერთიანებული უმრავლესობა უნდა იყოს და არა მისი ოპოზიცია — უმცირესობა. მაგრამ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში არცთუ იშვიათად ყველაფერი სწორედ რომ პირიქით ხდება და ისე როგორც ცოტათი აღრე უზენაეს საბჭოში, ასევე ახლაც პარლამენტში, თითქმის ყველა ნაკლი და ცოდვა ძირითადად ოპოზიციას აჰკიდეს. ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ, ვინც პარლამენტის დათხოვნას ან უარეს შემთხვევაში მისი ფუნქციონირების დროებით შეწყვეტას მაინც მოითხოვს, ქვეყანაში არსებული უწესრიგობის მთავარ მიზეზად საპარლამენტო უმცირესობას — ოპოზიციას მიიჩნევს.

ახლა როგორ გინდა გააგებინო და დააჯერო ამ მოთხოვნა-მოწოდებების ავტორებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესთა ერთი ნაწილი დამძიმებულია კომუნისტური მემკვიდრეობით, რაშიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება უსიტყვო მორჩილების განწყობილება , მეორე ნაწილი კი იქითკენ გადაიხრება, საიდანაც ქარი დაუბერავს. ერთიცა და მეორეც არსებითსა და პრინციპულ საკითხებზე მანამ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, სანამ არ გაარკვევს უმაღლეს ხელისუფალთა პოზიციას. ამასთან, ამ კატეგორიის პარლამენტარებს გულის სიღრმეში სჯერათ, რომ ერთი კაცის მაგარი ხელი საკმარისია ქვეყნის აყვავებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. თუ საიდან იღებს სათავეს ამგვარი განწყობილება, არ უნდა იყოს ძნელი გასაგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ ყოფილა მოულოდნელი, რომ საპარლამენტო უმრავლესობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ უსიტყვოდ დაუჭირა მხარი სნგ-ში საქართველოს გაწევრიანებას. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მათგან ზოგიერთის საჯარო გამოსვლებში, სნგ-ში შესვლის აუცილებლობის ერთ მთავარ არგუმენტად მოხმობილი იყო ცნობილი მარქსისტული (უტოპიური!) თეზა — უსვი დოვლათის გადმოდინებაზე. ადრეც მითქვამს და ვიმეორებ: **საკალალოდაა საქმე, როცა ასეთი მოსაზრებისა და განწყობის ხალხი წყვეტს ქვეყნის ბედ-იღბალს.**

აღნიშნულის პარალელურად პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიდინარეობს იმ პარტიებისა და პარლამენტარების დისკრედიტაცია, რომელთაც სათანადო საბუთებით შემაგრებული საკუთარი მოსაზრებები გააჩნიათ ქვეყნის უკეთ მოწყობასა და მართვაზე...

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დღევანდელი მდგომარეობა არსებითად განსაზღვრა პარლამენტის „თანამოაზრეთა“ — საბოლოოდ საპარლამენტო უმრავლესობად გაფორმებულთა აბსოლუტური უმრავლესობის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ საქმისადმი და არაკომპეტენტურობამ. ოღონდაც ყველაფერი გაკეთდა ისე, რომ საზოგადოების თვალში ეს საპარლამენტო უმცირესობას გადაბრალდა. მოკლედ საქართველოს პარლამენტი, დროებით მაინც, გაიწირა, ხოლო განტევების ვაცად საპარლამენტო უმცირესობა იქცა. ამ უმცირესობიდან კი განსაკუთრებული რისხვის ობიექტები შეიქმნენ ისინი, ვინც ჭეშმარიტებისადმი სამსახურს ყველაფერზე მაღლა აყენებს (აქაც საჭიროა ერთანეთისაგან განვასხვავოთ თეთრი და შავი .) ამასთან დაკავშირებით უნებლიედ გვახსენდება დიდი ფრანგი მწერლისა და სწავლულის ერნესტ რენანის სიტყვები: „ქვეყნის დიდება ყოველთვის უმრავლესობის მოწინააღმდეგენი, ოპოზიცია ყოფილა. ერის ყველაზე დიდებულნი შვილნი არიან ისინი, რომელნიც ერს სასიკეთოდ გაუწირავს. სოკრატი დიდება და გვირგვინი იყო ათენისა, მაგრამ იგი მოწამლეს, სპინოზა იუნი [illegible] ერთი უდიდებულესი ებრაელთაგანი იყო, მაგრამ თორამ იგი საარცხვინო ბოძზე მიაკრა და თავის წიაღიდან განდევნა. იესოც დიდება იყო ერისა ისრაელისა, მაგრამ ამავე ხალხმა ჯვარს აცვა იგი“. იმედია არ დამბრალდება აზრის გატარება, რომ ჩვენ პარლამენტში ამ დიდი პიროვნებების დარი ვინმე მონაწილეობდეს. მაგრამ დიდი სწავლულის აზრი მეტნაკლებად ჩვენ სინამდვილეზეც რომ ვრცელდება, ეს საეჭვო არ უნდა იყოს.

ისეთ ვითარებაში, როცა ქვეყანა თავზე გვექცევა და ამასთან მისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირება შეჩერებულია, ყველა ძალის ერთიანი ძალისხმევაა საჭირო ქვეყნის გადასარჩენად. ამიტომაც ვერ დავეთანხმებით ერთი, ჩემთვის მისაღები პლატფორმის პარტიის მესვეურთა საჯაროდ გაცხადებულს: თუკი საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს სნგ-ში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას, მაშინ ამ პარლამენტში არაფერი გვესაქმება.

ჩვენი აზრით ამგვარი პარტიების მუშაობა პარლამენტში ღღეს უფრო საჭიროა, თუნდაც უკიდურეს შემთხვევაში ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხის დაყენების თვალსაზრისით. წინაალმდეგ შემთხვევაში ასპარეზი იმ „თანამოაზრეთა“ უმრავლესობას დარჩება, რომელთა საქმიანობის სავალალო შედეგებს ღღეს ასე მტკივნეულად განვიცდით და ვიმკით კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ მოხდა თქვენი ტყვედ აყვანა?

— როდესაც სოხუმი დაეცა, ...ვენ ბოლოები გამოვედით ქა...ქიდან. გუმისთის ბრძოლების ...აწყებისას. ყველამ ვიცოდით, ...რომ ჩვენი შსს გარკვეული ...აწილები, მე-6 სამმართველოს ...ინჭები, სამძებროს წარმომადგე...ლები იყვნენ დისლოცირებულ...ი მდინარე კოდორთან და ...ქიდან აკავებდნენ ტყვარჩელის ...ხრიდან შემოტევებს. მე გადა...წყვიტე ძალების გაერთიანება, ...ინაიდან შს მინისტრის მოად...ილის სტატუსი მაქვს, მჭონდა ...მგვარი გადაწყვეტილების მი...ების უფლება და 29 სექტე...ბერს საღამოს დავტოვეთ მდი...არე კოდორი. ჩვენი ბიჭები — 132 კაცი მდინარეზე წელა...დე წყალში გადავედით, გავი...არეთ 20 კმ-იანი მანძილი ფეხით ...ინდლამდე და მივაღწიეთ ოჩა...ჩირემდე. იქ პანიკური სიტუა...ცია დაგვხვდა. ჩვენი მებრძო...ლები გადაღლილები იყვნენ, 14 ...დღის მანძილზე ბრძოლებში ...აწამებულნი, მშიერნი, უძილო...ნი. ჩვენი მიზანი იყო სასწრა...ფოდ მიგვეღწია შსს-ს ნაწილე...ბთან და გაერთიანებული ძალით ...შეგვეტია მტრისთვის. ცნობილი ...გახდა, რომ სვანეთის გზა ...გადაეხერგათ, ამასთან იქ უმრავ...ლესს მოეყარა თავი და ჩვენი ...მისვლით მათ დროულად გადა...ყვანას ხელს შევუშლიდით. ამი...ტომ მე და გია ჩეჩელაშვილმა ...და სხვებმა მოვილაპარაკეთ წა...ესულიყავით ზუგდიდის გავლით, ...თუმცა ვიცოდით, რომ ეს გზა ...არც იმდენად უხიფათო იყო, ...მაგრამ მაინც მჭონდა იმედი, რომ ...რაღაცნაირად გავიდოდით. უნდა ...ვთქვა, რომ თან 6 ავტომა...ტის გარდა არაფერი გადაჰქონდა. ...ეთელი იარაღი დავუტოვეთ სა...თავრობო ნაწილებს, ჩვენ კი ...ამოვედით ავტობუსებით ენგუ...რის მიმართულებით. გალ რო...დესაც გავიარეთ, გზაში მოპიკე...ტებმა გაგვაჩერეს და მე მიკი...ხეს, გაიგეს,რომ იქ ვიყავი, ...თუმცა არაფერი უთქვამთ და ...შვიდობიანად გამოგვიშვეს. ეს ...ფაქტი ცნობილი გახდა ზაურ ...ობალიასთვის, რომლის დავალე...ბითაც მდ.ენგურთან გაგვაჩერეს, ...ვითხრეს, რომ ზვიადის დაცვი...ან იყვნენ და მათაც მომიკითხეს. ...უთხარი, რომ გია გულუა მე ...ყავი. მათ მთხოვეს ჩავსულიყავი ...და წავყოლოდი. მიმიყვანეს ზუ...გდიდის კომენდატურაში. ეს იყო ...30 სექტემბრის ღამის 2 საათი. ...ეორე დღეს გადამიყვანეს ციხის №5 საკანში, სადაც „მომინახუ...ლეს“ კოტე ფირცხალავამ, ნუ...გზარ მოლოდინაშვილმა, ზაურ და ლოთი ქობალიებმა. მე მოვითხოვე ზვიადთან შეხვედრა, ისინიც შემპირდნენ, რომ მასთან მიმიყვანდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ დაპირებად დარჩა.

გია გულუა: მხედრიონის შესვლა იქ არაფრით არ შეიძლება

— შეურაცხყოფას თუ ჰქონდა ადგილი.?

— არავითარი შეურაცხყოფა მე არ მიგრძვნია. პირიქით, სურდათ თავისი დამოკიდებულებით ჩემი გადაბირება მოეხდინათ, მეუბნებოდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ, რომ თბილისში მალე შევიდოდნენ და ძალაუფლებასაც დაიბრუნებდნენ. ისე კი უნდა ითქვას, რომ არ გავქცეულიყავი იქიდან, ისინი უკვე ფიზიკურადაც გამისწორდებოდნენ. მოცემულ შემთხვევაში კი ეს ნაადრევი იყო.

— როგორ დააღწიეთ თავი ტყვეობას?

— მე ბევრს ვფიქრობდი გაქცევაზე. ვაწყობდი გეგმებს როგორმე თავი დამეღწია მათგან. ამაში დამეხმარნენ სწრაფი რეაგირების განყოფილების წარმომადგენლები, რომლებმაც ძალიან ჭკვიანური გეგმა შეიმუშავეს და ოპერაციაც ბრწყინვალედ ჩატარდა, თუმცა პატარა კურიოზიც მოხდა. ციხიდან რომ გამოვდიოდი, გზა შემეშალა და ჩვენს ბიჭებს დავშორდი. იძულებული ვიყავი მიტოვებული სახლის ეზოში გადავსულიყავი, რადგანაც გზაზე გაჩერებული მანქანა შევნიშნე. თავიდან ვაპირებდი კიდეც მათთან მისვლას, მაგრამ რაღაც შინაგანი გრძნობა მკარნახობდა, რომ დავმალვოდი და ასეც მოვიქეცი. ღამის 3 საათამდე ეზოში ვიყავი. შემდეგ კი გავეშურე ფარულად ჩემი ნაცნობის სახლისაკენ. ვიცოდი არ გამწირავდნენ და მიმიღებდნენ. არც მოვტყუვდი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ფილმებში ხდება ხოლმე. ბოლოს გავიგე, რომ თურმე ის სახლი, სადაც მე შემიფარეს, გამსახურდიასთვის ყოფილა შეძენილი.

— ალბათ მტკივნეული იყო თქვენთვის, როგორც ზუგდიდელი კაცისთვის, ტყვედ ყოფნა იმ მიწაზე, სადაც დაიბადეთ, გაიზარდეთ, სადაც გაატარეთ თქვენი ბავშვობის წლები?

— გეთანხმებით, ძალიან განვიცდიდი. ვეუბნებოდი კიდეც, რომ ზუგდიდელი კაცის ზუგდიდში დატყვევება სადაური წესია-მეთქი, მაგრამ...

— თუ ნახეთ იქ თქვენი ნაცნობები, რომლებიც მონაწილეობდნენ თქვენს დაკავებაში?

— კი, ნაცნობებიც იყვნენ, 18 წლის მანძილზე მე იქ ვცხოვრობდი, თუმცა 20 წელია უკვე რაც წამოვედი და კონტაქტებიც იმდენად აღარ მაქვს. ისე კი, იქ მეტი წილი ჩამოსული ხალხი იყო, ვიდრე თვითონ ზუგდიდელები.

— შეგრჩათ თუ არა ყველაფრის მიუხედავად ის სიყვარული ზუგდიდისა და ზუგდიდელების მიმართ, რომელიც,ბუნებრივია,გქონდათ?

რა თქმა უნდა. მე ზუგდიდელი კაცი ვარ. არასდროს არ დამიდია თავი თბილისელობაზე. მე ზუგდიდი ისევე მიყვარს, როგორც აქამდე მიყვარდა.

— იქნებ გვითხრათ რაიმე ისეთი, რაც არავისთვის გითქვიათ, თუმცა გინდოდათ გეთქვათ?

— რა მინდოდა მეთქვა? ჩემს ტკივილზე ვიტყვი. ჩემთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ჩვენდა საუბედუროდ სამეგრელოსა და მეგრელებს მოღალატეებად ნათლავენ. იქმნება ფენომენი — „მეგრელი — ჩვენი მტერია“. ასე არ შეიძლება. მაქსიმალურად უნდა ვცდილობდეთ ფრთხილად მოვეკიდოთ იმ ხალხს, რომელიც ხვალ და ზეგ ჩვენს გვერდით დადგება, ჩვენთან ერთად იცხოვრებენ, იშრომებენ ისე, როგორც აქამდე იყო. ქობალიებით და მისთანებით არ იწყება და არ მთავრდება სამეგრელო. ისინი არ არიან სამეგრელოს სიმბოლოები. მეგრელები გამოსავალს აუცილებლად იპოვნიან.

— რა განწყობილება იყო ზუგდიდში?

— ხალხი იყო საშინლად დაბნეული, შეშინებული. ხალხს მშვიდობა მოენატრა. მობეზრდათ ამდენი ომი, ამდენი მსხვერპლი. შიშია მათი თანამგზავრი. ვერ გაურკვევიათ საით წავიდნენ, რა გზას დაადგნენ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პოლიცია როგორც შევა ზუგდიდში, ხალხი ამოისუნთქებს, ჩვენს გვერდით დადგება. გამოსავალი ერთია. ზუგდიდში უნდა შევიდეს აუცილებლად ქართული პოლიცია. მხოლოდ პოლიციას შეუძლია სტაბილიზაციის დამყარება. და არა მხედრიონს. მხედრიონის შესვლა იქ არაფრით არ შეიძლება. მე ეს რამდენჯერმე ვუთხარი კიდეც ბ-ნ ჯაბა იოსელიანს.

— თქვენ როგორც თანამდებობის პირს, მაგრამ როგორც ზუგდიდელს, საშუალება რომ მოგეცეთ, შეხვიდოდით თუ არა სამთავრობო ჯარებთან ერთად ზუგდიდში და შეგწევთ თუ არა ძალა, იარაღით ხელში მიადგეთ მშობლიურ ქალაქს?

— მე ახლა საშინლად გადავიღალე. 27 დღის პატიმრობამ ძალიან იმოქმედა ჩემზე და როდესაც აღვიდგენ თავს, ალბათ 10 დღეში მაინც, მე ისევ იქ უნდა დავდგე, სადაც საჭიროება მოითხოვს. მე ჩემს მოვალეობას პირნათლად ყოველთვის შევასრულებ, ისე კი შორსა ვარ სამაგიეროს გადახდისაგან. თუმცა დამნაშავე უნდა დაისაჯოს და უნდა დასაჯოს კანონმა და არა გია გულუამ.

— თქვენი აზრი „ესენგესთან“ დაკავშირებით. რა ადეკვატური მოვლენებია მოსალოდნელი საქართველოს „თანამეგობრობაში“ გაერთიანების შემდეგ?

— ჩემი აზრით აუცილებელია „ესენგეში“ შესვლა. მე თუ მკითხავთ, არც უნდა გამოვსულიყავით იქიდან. სომხეთი და აზერბაიჯანი შევიდნენ „ესენგეში“, ჩვენ კი დავრჩით მიტოვებულნი. ჩემი აზრით,ის რუსის ჯარი კი არ უნდა გაგვეყარა, არამედ ჩვენი ბიჭები უნდა გვემსახურებინა აქ, საქართველოში მათ გვერდით. ჩვენ დღეს, ფაქტიურად სამხედრო ძალა არ გაგვაჩნია.

— კი მაგრამ, 9 აპრილის შემდეგ რუსის ჯარის აქ დარჩენა შეუძლებელი იყო.

— ჯერ-ჯერობით ყველაფერი არ არის გარკვეული. ის 9 აპრილის მოვლენებიც არ გაშუქებულა ბოლომდე. მოვა დრო და ყველაფერს ფარდა აეხდება.

— ე.ი. თქვენ მომხრე ხართ რუსის ჯარის შემოყვანისა?

— ჩვენ არ გვყავს ნამდვილი სამხედროები. დღეს ყველა ჯარისკაცი თითქმის ოფიცრობიდან იწყებს თავის მოვალეობის შესრულებას. ასე არ შეიძლება. მე აუცილებლად მიმაჩნია „ესენგეში“ შესვლა.

—თქვენი პროგნოზი?

— მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება. საქართველო უნდა გადაიქცეს იმ სახელმწიფოდ, როგორიც საქართველოს სჭირდება, და არა როგორც პიროვნებას. თუკი აღდგება კანონი, ამ შემთხვევაში გადავრჩებით. უპირველესია კანონი უზენაესობდეს. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად ეს უნდა იყოს მთავარი იდეა. დამნაშავემ, როგორც ვთქვი, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე და არა იარაღიანი კაცის წინაშე. ამასთან პოლიცია უნდა იყოს დეპოლიტიზირებული. იგი არც ერთ პარტიასთან არ უნდა იდგეს. იგი უნდა წარმოადგენდეს იმ ორგანოს, რომელიც მხოლოდ კანონს დაემორჩილება და მაშინ უკვე ვერც გამსახურდია შეუშლის ხელს საქართველოს წინსვლას და ვერც ლოთი ქობალია. და რაც მთავარია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ჩემი ტყვეობისას ერთ-ერთმა მეთუნუქემ თქვა: „საქართველო მაშინ გადარჩება, როდესაც მე სახლების გადახურვას შევუდგები, ხოლო ლოთი ქობალია კი კვლავ პურის მანქანაზე დაჯდებაო“. მე ვეთანხმები იმ კაცს. ჩვენი ქვეყანა ქაოსშია. ერთადერთი სახელწიფოა, სადაც მიმდინარეობს ომი და არ იციან რისთვის იბრძვიან, რისთვის ხოცავენ ერთმანეთს. მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება. მე ოპტიმისტი კაცი ვარ.

— ღმერთმა გისმინოთ.

ესაუბრა
რიმა ლომაური

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება ნ. ნათაძის მიმართ ცილისწამების გამო

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ნოდარ ნათაძის მისამართით გაჩაღებული ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ, რის „საფუძვლადაც“ გამოყენებულ იქნა „ზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ და საქართველოს ტელევიზია. გრცელდება ჭორი, თითქოს საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ნოდარ ნათაძეს ტელეფონით მოელაპარაკებინოს გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეებთან საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მოქმედების თაობაზე, რაც, თითქოს, „დაიჭირა“ უშიშროების ორგანოებმა. დარბაზი თვლის, რომ ეს აღვირახსნილი კამპანია სხვა რა არის რა, თუ არ ნოდარ ნათაძის, როგორც „ესენგეში“ საქართველოს შესვლის მოწინააღდეგის, დისკრედიტაციის მცდელობა.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზი მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროსგან ან უარყოს ხსენებული გაზეთის მიერ გამოქვეყნებული მონაჭორი ნ.ნათაძის მისამართით, ან გამოაქვეყნოს ხსენებული სატელეფონო საუბრების სრული ანაწერი, საუბართა თარიღისა და ადგილის ზუსტი მითითებით.

ქ.თბილისი
29 ოქტომბერი 1993 წ.

უშიშროების სამინისტრო უარყოფს ბრალდებას ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ

რამდენიმე ხნის წინ „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ დაბეჭდა აკაკი მიქაძის წერილი, სადაც ბ-ნ ნოდარ ნათაძეს ბრალი ედებოდა ექსპრეზიდენტის მომხრეებთან საიდუმლო სატელეფონო მოლაპარაკებაში, რომლის მიზანი იყო ერთობლივი მოქმედება არსებული მთავრობის დამხობის მიზნით. ბატონმა ნოდარ ნათაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს ბატონ ი. გიორგაძეს და ამ საქმის საფუძვლიანი შესწავლა მოითხოვა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პასუხისმგებელი პირები უარყოფენ „მოსკოვსკიე ნოვოსტში“ გამოქვეყნებულ ბრალდებას ნ. ნათაძის მიმართ და აცხადებენ, რომ მათ არ გააჩნიათ ნ. ნათაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გამსახურდიას მომხრეებთან, როგორც ეს აღნიშნული იყო ბატონ მიქაძის წერილში.

გაზ. „7 დღე“
5-11 ნოემბერი.

გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორის კომენტარი

ყველაზე დიდი საზიზღრობაა, კაცს ის დააბრალო, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძვის.

კერძოდ, ბატონ ნოდარ ნათაძეს დასწამო სამოქალაქო ომის ატეხვის ინიციატივა.

ჯერ იყო და, დეკემბერ-იანვრის გადატრიალების დროს დეპუტატი ქობულაშვილი გამობრძანდა და განაცხადა: ნოდარ ნათაძის სახლის სხვენიდან ავტომატები გააქვთო.

ეს ჩიტირეკია დეპუტატი მერე იძულებული გახდა ეთქვა, ბოდიშით, შემეშალაო.

მისი მობოდიშება ვიღას სჭირდებოდა, თავისი საქმე ფაქტიურად გააკეთა, ავისმ[illegible]ურნენი აასისინა უბრალო კაცის წინააღმდეგ.

ახლა, ამ ომის დასაწყისშივე, რუსეთუმე აკაკი მიქაძემ „გააზარა“ მკითხველი, — ნოდარ ნათაძე და ზვიად გამსახურდიას მომხრეები ერთობლივად გეგმავენ სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ ბრძოლასო.

მერე რა, რომ ტყუილია,

თავისი ბნელი საქმე მიქაძემაც გააკეთა. ხალხი აალაპარაკა, ეჭვის ჭია გაუჩინა.

რათა შვრება ამ გლახა საქმეს „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ქართველი კორესპონდენტი?

პირადად მე, რუსეთში გამოქვეყნებულ მის პუბლიკაციებს რომ ვკითხულობ, დათას სიტყვები მახსენდება ხოლმე, — ფული არ აიღო, ბიჭო, გუდუნა...

ღვთის გულისათვის შეჩერდით, მინდა ვიყვირო მთელი საქართველოს გასაგონად, მაგრამ ჩემი ხმა არავის ესმის!..

ჩვენი კორესპონდენტი თენგიზ გოგოტიშვილი შეხვდა ჰუმანიტარული მეცნიერებების რამდენიმე ცნობილ. წარმომადგენელს და სთხოვა მათ თავიანთი აზრი გამოეთქვათ საქართველოში ატეხილი საშინელი სამოქალაქო ომის შესახებ. გთავაზობთ ამ საუბრების ჩანაწერებს.

რევაზ მიშველაძე,

მწერალი: პროფესორი,

საქართველოს ალბათ ისტორიის მანძილზე 1993 წელზე უარესი წელი არ ჰქონია. დამერწმუნეთ, ამას ჩემი პირადი განწყობილება არ მალაპარაკებს. საქართველოში დატრიალებული უბედურება ალბათ ჩემს ოჯახზეც უნდა განაწილებულიყო. ასე სურდა განგებას და მე მეამაყება, რომ ჩემი ერთადერთი შვილი სამშობლოსთვის დაიღუპა. მაგრამ ჩვენ სხვა ვიკითხოთ. მე გითხარით 1993 ყველაზე მძიმე წელი იყო მეთქი. ჩვენს თვალწინ საქართველოს ისტორიის მთელი ტრაგედია გათამაშდა შესაძლებლობათა კვადრატში. დევნილ-ლტოლვილობა საქართველოსთვის ახალი არაა. შაჰ-აბასმა 140 ათასი ქართველი გადაასახლა ფერეიდანში. მაგრამ როგორც ისტორიკოსები ამბობენ სწორედ რომ გადაასახლა და სხვა არაფერი, მისცა მათ დრო და საშუალება, ურმით თუ მარხილით, ცხენით თუ ჯორით, თან წაეღოთ ყველაფერი, რაც სურდათ, და საქონელიც გაერეკათ. ჩვენს თვალწინ აფსუა-ჩეჩენ-რუსთა გამძვინვარებულმა ურდომ 300 ათასამდე ქართველი გამოყარა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თავიანთი ისტორიული სამოსახლოდან და უმოწყალოდ გასწირა თოვლიან-ყინულიან ბილიკებზე სახეტიალოდ. ეს შემაძრწუნებელი ეპოპეა სამუდამოდ დარჩება ისტორიაში, როგორც ქართველი ერის გოლგოთის გზა. წარმოიდგინეთ, რა მასალა აქვს მწერალს, ისტორიკოსს, კინემატოგრაფისტს ამ მოვლენის უკვდავსაყოფად. შემაძრწუნებელია ის მწირი დოკუმენტური კადრებიც კი, ჩვენ რომ ვიხილეთ. თუნდაც ერთი დევნილი ოჯახის ისტორია რომ ასახოს მწერალმა (დედას რომ სამი შვილი ხელზე გაეყინა, მეოთხე ვიღაცას მიაჩეჩა და თვითონ კლდიდან გადაიხვეწა), ეს იქნებ უფრო ტრაგიკული ნაწარმოები იყოს, ვიდრე ანტიკური თუ შემდგომდროინდელი ტრაგედიები ახსოვს ლიტერატურას. ულმობელმა ეპოქამ, მოგეხსენებათ, არც ეს გვაკმარა. სისხლნაყნოსნი, გაბრუებულ-დარეტიანებულნი, აფხაზეთის ომში დამარცხებულნი და დედლურად გამოქცეულნი, ერთმანეთს დავერიეთ და არაჩვეულებრივი სისასტიკით, კბილთა ღრჭიალით, ველურის გემოსჩატანებით ვხოცავთ ერთმანეთს.

ვიღაცამ თქვა: ასე მამაცურად და ერთგულად, როგორც ერთმანეთს ვებრძვით, აფსუა-ჩეჩნების წინააღმდეგ რომ გვებრძოლა, ალბათ გავიმარჯვებდითო. ვერ გავიმარჯვებდით. ეს საქმეში ჩაუხედავი, გულუბრყვილო კაცის ნათქვამია. ვერ გავიმარჯვებდით იმიტომ, რომ აფხაზეთის ომში წინასწარ ვიყავით განწირულნი. ჩვენ ვებრძოდით რუსის ჯარს, ამ არმიის წინაშე კი მთელი მსოფლიო ძრწის. 27 ივლისს ჩვენვე დავთმეთ სოხუმი, უკანასკნელი მბეუტავი იმედი აფხაზეთის შენარჩუნებისა, ჩვენვე მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც 10—12 დღეში უნდა გაგვეყვანა მძიმე ტექნიკა და გავიყვანეთ კიდეც რუსის გემების დახმარებით. სოჭის ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე მწერალთა კავშირში განვაცხადე (და ტელევიზიითაც გადაიცა): ნუ მოვაწერთ ხელს ხელშეკრულებას, თორემ აფსუა-რუსები არ შეასრულებენ და სოხუმს დაკარგავთ მეთქი. ხოლო ხელმოწერის შემდეგ დავწერე წერილი, სადაც ვამბობდი, ამ ხელშეკრულებით ჩვენ კაპიტულაცია გამოვაცხადეთ-მეთქი. წარმოიდგინეთ, თავისუფალი პრესის ჩვენს ეპოქაში ეს პატარა წერილი არც ერთმა გაზეთმა, ოფიციალურმა თუ ნახევრად ოფიციალურმა, არ დამიბეჭდა.

მე აფხაზებთან დამარცხებაში ვერავის გავამტყუნებ. იმ ხელშეკრულებაზე ხელმოწერაც იძულებითი ნაბიჯი იყო. ესენგეში შესვლაც იძულებითი ნაბიჯია. რუსმა ულმობელი სისასტიკით დაგვამარცხა და დამარცხებულ-დაბეჩავებულს, როგორც სურს ისე გვატრიალებს. რუსმა ამ საუკუნეში მეორედ დაგვიმონა. პირველი დამონების დროს (1918—1921) 111 ათასი კვ.კმ-დან 44 ათასი კვ.კმ. წაგვართვა. დამოუკიდებლობის მეორე წრეზე (1990—1993) რუსმა 25 ათასი კვ.კმ. წაგვართვა (აფხაზეთი და სამაჩაბლო) და დაგვიტოვა მხოლოდ 42 ათასი, მაგრამ ისიც დაგვიტოვა?! რუსის იარაღით შეიარაღებულ-გამარჯვებული ჩეჩენი და აფსუა აფხაზეთიდან ჩვენს გამოყრას არ დასჯერდა და ზედ ქუთაისის ჭიშკრამდე მოგვდია. იქნებ ხსნა მართლაც ესენგეში შესვლაში არის-მეთქი, ვიფიქრე ერთი თვის წინ, მაგრამ ბოლო დროის მოვლენებმა ამაშიც დამაეჭვა. ჩანს, რუსს ჩვენი განხალხება, ქართველი ერის და საქართველოს მოსპობა განუზრახავს, თორემ უკვე ესენგეში თითქმის შესულს ისე არ გაგვწირავდა, რომ ენგურის ხიდი არ ჩაეკეტა და იქიდან კონფედერაციის კაციჭამიები საქართველოში არ შემოეშვა. რაო, უძლურია რუსის არმია ჩეჩენ-ყაბარდოელ-ჩერქეზ-ადიღეელთა მომბაბარე ურდოების წინაშე? ეს ყველაფერი წინასწარი გეგმით კეთდება. ამ გეგმის ნაწილი გახლდათ ის მეათასე ღალატი, რუსმა ჩვენი ჩრდილოეთი ჭიშკარი — თავისივე სახლ-კარი რომ არ დაიცვა და იქიდან თავისი მოქალაქეები, კაზაკ-ჩეჩენთა მარბიელი ლაშქარი შემოუშვა საქართველოში.

გთხოვთ სწორად გამიგოთ, ესენგეში შესვლის მომხრე მაშინ ვიქნები, თუ რუსი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს. ჯერ-ჯერობით კი აფხაზეთ-სამაჩაბლოდან გამორეკილი ჩვენი თანამოძმეების თავიანთ მიწაზე დაბრუნებას კარგი პირი არ უჩანს და მე, ქართველი მწერალი, თავის მოკვლის ხასიათზე ვდგები, ციცვგამეფებულ დერეფნებსა და ქუჩაბანდებში ლტოლვილების შიმშილისაგან გამოლამებულ თვალებს რომ ვუცქერ. თავი მისკდება, იმდენს ვფიქრობ საქართველოს ბედზე და ზოგჯერ ერთი შეხედვით აბსურდულ, უტოპიურ დასკვნამდეც კი მივდივართ — ჩვენ ამ მიწაზე ჩვენი „საყვარელი“ მეზობლები, სულ ერთია, მაინც არ გაგვახარებენ, დღეს თუ ხვალ, კანიბალური სისასტიკით მოგვიღებენ ბოლოს. ახლა თუ ჩვენს სისხლს სვამენ, ხვალ ჩვენს ძვლებს დახრავენ და (გთხოვთ არ გაგეცინოთ) ხომ არ გადავსახლებულიყავით აქედან ქართველები სადმე შორეულ, მაგრამ უხიფათო ადგილას, თუნდაც ავსტრალიაში?

მე ჩვენი უბედობის ყველა ნიუანსს ვეძებნი ახსნას ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგრამ ერთი ვერ ამიხსნია — შინა ომი, ძმათა“ომი. კარგად ვიცი, სამოქალაქო ომები ათწლეულობით მძვინვარებდა სხვადასხვა დროს, ჩვენზე უფრო ცივილიზებულ ერებში, მაგრამ ნუთუ ისტორიის გაკვეთილებმა ვერაფერი გვასწავლა? მომძულდა თავი, აღარ მჯერა აქამდე ყბადაღებული სიტყვა „ინსპირებულისა“. ეს სამოქალაქო ომი, იმდენად ინსპირირებული არაა, რამდენადაც ჩვენი შინაგანი ბუნებიდან და ზოგი ვაი-პოლიტიკოსის ამბიციური ხასიათიდან გამომდინარე. ღვთის გულისათვის შეჩერდით, მინდა ვიყვირო მთელი საქართველოს გასაგონად, მაგრამ ჩემი ხმა, სამწუხაროდ, არავის ესმის. ერთმანეთის ხოცვით საქარათველოს გენოფონდს ვაქრობთ, ესეიგი ჩვენს ერს თავად ვუსპობთ მომავალს. ერთი პატარა დეტალი: ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში ზოგჯერ თვალუურს მოკრავთ განცხადებას: „გაიმართა ხობთან გააფთრებული ბრძოლა სამთავრობო ჯარებსა და ექსპრეზიდენტის მომხრეებს შორის. მოწინააღმდეგემ გამოიყენა შვიდი ერთეული საომარი ტექნიკა. ბრძოლის შედეგად ჩვენებმა გაანადგურეს უკანონო ფორმირებათა ორი ტანკი, ერთი „ბმპ“ და ერთი ჯავშნოსანი მანქანა. არის მსხვერპლი“. ჯერ ერთი, შვიდი ერთეული საომარი ტექნიკა რა უბედურებაა, მაგრამ ეგ არაფერი. დაწვრილებით ვაუწყებთ მკითხველს საომარი ტექნიკის შესახებ, ხოლო გარდაცვლილებზე უბრალოდ ვამბობთ, არის მსხვერპლიო. და ის „მსხვერპლი“ სწორედ ჩვენი უდანაშაულო შვილებია, რომელ მხარეზეც არ უნდა იბრძოდნენ ისინი, ძმათა ომში ჩათრეული ჩვენი თვალის სინათლე და ერის მომავალი. გამოფხიზლდით ქართველნო, ისტორიის ვეშაპი ჩასაყლაპად გვეპარება. საქართველოს ისტორიაში ამ ყველაზე საშინელმა 1993 წელმა, იქნებ მაინც გამოგვაფხიზლოს და გაგვაერთიანოს.

* * *

პორნელი დანელია,

პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი:

— სამწუხაროდ, რისი თავიდან აცილებაც გვინდოდა ამდენი ხნის განმავლობაში, ვერ ავიცილეთ. ამის მიზეზი მრავალია, მათ შორის საგარეოც. ჩვენს სამოქალაქო ომში რუსეთის ხელი რომ ურევია, ყველასათვის ცხადზე ცხადია.

ისტორიიდან ბევრი რამ ვიცით, ბევრი გვსმენია, მაგრამ ის, რასაც ახლა საკუთარი თვალით ვხედავ, დაუჯერებელია. დაუჯერებელი ის კი არაა, რომ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს სხვადასხვა აზრი და რწმენა აქვთ, არამედ ის, თუ რა საშუალებებით ხდება საბოლოო მიზნის მიღწევა. როგორ შემიძლია მე გავამართლო ექს-პრეზიდენტის დაჯგუფება იმაში, რომ აფხაზეთის დამაქცევარი ხალხი, გადამთიელები გვერდით ამოიყენა ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში? მათი მიზანი ცნობილია — უნდათ ხელისუფლების სათავეში მოსვლა. ამის სურვილი შეიძლება მათაც გაუჩნდეთ და სხვასაც, მაგრამ მისი განხორციელების გზა, არ უნდა იყოს საზოგადოების ნაწილის განადგურება და ერის მორალურად გახრწნა. ამ უმართავმა პროცესმა იქამდე მიგვიყვანა, რომ სახელმწიფოებრიობა პრაქტიკულად დაგვეშალა. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ჩვენში არსებითად არ მუშაობს არც ერთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ყველაფერი, რაც კეთდება, კეთდება ინერციით. ამას თუნდაც უმაღლესი სასწავლებლების მაგალითზე ვხედავ. დიდად მადლობელი უნდა ვიყო, რომ სტუდენტთა უმრავლესობა კიდევ მოდის ლექციებზე. და ასეთი სიტუაცია განა მხოლოდ განათლების სისტემაშია? ეს ჩვეულებრივი სურათია ნებისმიერ წარმოებასა თუ დაწესებულებაში. ასეთ ვითარებაში ადამიანის სურვილი, რომ თავისი თანამოქალაქეების ხარჯზე, ნებისმიერი მეთოდით ტახტისაკენ გაიკვალოს გზა, არ არის ნორმალური ადამიანის საქციელი.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დღევანდელი მთავრობით ყოველთვის ვიყო კმაყოფილი, როგორც მოქალაქე. მანაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო ომმა რუსთაველიდან ცხენისწყალზე გადაინაცვლა

გადადგა. ბევრი ისეთი ნაბიჯი, თუნდაც ჩვენი უსაფრთხოებისთვის, რომელიც უნდა გადაედგა, დროზე არ მოახდინა რეაგირება მრავალ პროცესზე და არ მისცა მათ შესაბამისი სახელი, რამაც საბოლოო ანგარიშით ახლანდელ შედეგამდე — სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა. მაგრამ, მე შემიძლია გარკვეულწილად გავიგო მისი მოქმედების მოტივები, მისი გაუბედაობა. სხვა რომ არაფერი იყოს, ხელისუფლება მთელი ამ პერიოდის მანზილზე მარტო უმკლავდებოდა უდიდეს იმპერიას. გამსახურდიას მოწინააღმდეგე კი ვინაა ახლა? ის ხალხი სამეგრელოში, იმერეთსა თუ გურიაში, რომლის სოფელიცა და ქალაქიც მან დაიკავა? ასეთ ვითარებაში მთავრობაც იძულებული ხდება კონტრნაბიჯებს მიმართოს მათ წინააღმდეგ, ვინც აფხაზეთის ომშიც კი მას იარაღს ართმევდა და დღევანდელი ბრძოლებისთვის ემზადებოდა. მეტიც, ვფიქრობ, რომ ამ ნაბიჯებმა მეტად დაიგვიანეს.

* * *

ტარიელ კვანჭილაშვილი:

პროფესორი

როგორც ყველა ომს, ამასაც თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. მსოფლიო ისტორიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხალხებს თუ ხელისუფლებას ამა თუ იმ ომის თავიდან აცილება შეეძლოთ, მაგრამ ეს არ მოხდა. ჩემი ღრმა რწმენით, დღევანდელი შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც, კლასიკური გაგებით, არ არის სამოქალაქო ომი, ჩვენც შეგვეძლო აგვეცილებინა თავიდან.

დღეს ძალიან პოპულარულია შერიგებისა და ერის გამთლიანების ლოზუნგი,მაგრამ არცერთ მხარეს არ გადაუდგამს შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯები. ლოზუნგების დონეზე დატოვებული მოწოდება კი შედეგს რომ არ გამოიღებდა,ორივე მხარეს უნდა ცოდნოდა. ამიტომაც ორივე მხარე თავის ურყევ რწმენაზე დარჩა, ორივეს სჯერა, რომ იგია კანონიერი ხელისუფლება და აქვს მორალური და იურიდიული უფლება, რათა ყველა მას დაემორჩილოს. ძმათამკვლელი ომი ყოველთვის დიდი უგუნურებაა, მით უმეტეს ჩვენნაირი მცირე ქვეყნისათვის იგი დამღუპველია. მხოლოდ შერიგებაზე ლაპარაკი კი არაა პრობლემა, საქმით შერიგებაა საჭირო.ახლა ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ წამოაყენა ახალი არჩევნების ჩატარების იდეა, და ეს შეიძლება მართლაც პოზიტიური ნაბიჯი აღმოჩნდეს. გამოხატოს ხალხმა თავისი ნება და მართლაც შეიძლება დამთავრდეს ახლანდელი „პროკენტობანას“ ერთმანეთისთვის წამოძახება.

სხვაგვარად, თუნდაც იარაღის გზით, ჩემი აზრით, ეს პრობლემა არ გადაწყდება. ხომ ცნობილია ვინ დგას ამ იარაღის უკან და ვინ აკონტროლებს მის მოწოდებას მხარეებისათვის. ამით მას აქვს მშვენიერი საშუალება, მანიპულირება მოახდინოს თავისი ინტერესების მიხედვით. ჩვენს ინტერესებში კი ერის გაერთიანებაა და ამისათვის კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა — მოლაპარაკების გზით თანხმების მიღწევა, არც დღესაა გვიან.

* * *

რევაზ ძნელაძე

თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

— უპირველესად უნდა გაირკვეს, არის თუ არა ეს სამოქალაქო ომი. ჩემი პირადი აზრით — არის. ჩვენ ვხედავთ თუ რამდენად მძიმეა მისი შედეგები. — კაცთა კვლა, ძარცვა, ყაჩაღობა, ნგრევა, მაგრამ ვთვლი, რომ ეს პრობლემა უფრო ადრე უნდა დამდგარიყო, სანამ მოსალოდნელი ბრძოლა შედარებით მცირე მასშტაბიანი იქნებოდა და, შესაბამისად, ნაკლებ უბედურებას მოიტანდა. მთავრობის არგუმენტებიც გასაგებია — ისინი სისხლისღვრას გაურბოდნენ და თან უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ გადასაწყვეტი, მაგრამ ხომ ცხადია, რომ დაყოვნებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. პირიქით, გაამძაფრა კიდეც ვითარება.

თუკი ექსპრეზიდენტის მხარეს მართლაც აქვს კონსტრუქციული იდეები, ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი, ამისათვის განა ბრძოლაა საჭირო, ამას განა ხიდების აფეთქება და ადამიანების სიკვდილი ესაჭიროება? რა თქმა უნდა, არა. ყოფილ პრეზიდენტს მართლაც რომ ჰქონოდა რაიმე მოდელი შემუშავებული, საქმეს აქამდე არ მიიყვანდა. ამას ომი კი არა, განხილვა და დისკუსია სჭირდება, საპარლამენტო, სახალხო დისკუსია.

რაც შეეხება გამსახურდიას პიროვნებას, აქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ის ხალხი, ვინც მას ასე აქტიურად უდგას მხარში,ისინი ვინღა არიან, რა სურთ და რა ამოძრავებთ? მე მათ შემდეგ კატეგორიებად დავყოფდი: I— სკამების დასაბრუნებლად მებრძოლნი; II — პატრიოტულ ნიადაგზე მოტყუებულნი, ვისაც დააჯერეს, რომ ნამდვილი საქართველო და ნამდვილი ქართველები მხოლოდ იქით არიან; III — კუთხური სეპარატიზმით შეპყრობილნი (ისინი ყველაზე მცირე ჯგუფს შეადგენენ); VI — დაბნეულები, ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელთაც პირადი კეთილდღეობა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ხელისუფლებათა მუდმივი ცვლა,ამიტომ მას წინააღმდეგობას არ უწევენ და, თუ დასჭირდათ, თანამშრომლობენ კიდეც მასთან.

რატომ შეიქმნა ის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა? მე ვთვლი, რომ ეროვნული მოძრაობა რაღაც ეტაპზე ასცდა თავისი მთავარი მიზნისკენ მიმავალ გზას — იგი გარკვეულწილად სკამებისათვის ბრძოლაში გადაიზარდა. სკამებისათვის ეს ბრძოლა გამსახურდიას მხრიდან დღესაც გრძელდება, მაგრამ მას, ჩემი აზრით, პერსპექტივა არა აქვს. დარწმუნებული ვარ, სამეგრელოს მოსახლეობა დადგება ოფიციალური ხელისუფლების გვერდით და თავად გარეკავს იმ ბანდებს, რომლებიც წელიწადნახევრის განმავლობაში მისი ძარცვა-გლეჯით ცხოვრობენ, ოღონდ საქმე ისაა, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს. ამის შემდეგ სიტუაციის კონტროლს ქვეშ შენარჩუნება სახელმწიფოებრივი სტრუქტურების საქმე იქნება. მჯერა, რომ ეს ასეც მოხდება და ჩვენი სახელმწიფო აღარ დაუშვებს დღევანდელი სიტუაციის განმეორებას.

* * *

ლევან სანიკიძე,

მწერალი, ისტორიკოსი. პროფესორი

ყველაფერი, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება, ისტორიის ლოგიკას ექვემდებარება. ალბათ ეს ომიც სრულიად კანონზომიერი და მოსალოდნელი იყო. თავად ტერმინი „სამოქალაქო ომი“ — „ბელუმ ცივიუმ“, პირველად რომაელებმა გამოიყენეს, რაც ნიშნავს ომს ერთი ქვეყნის მოქალაქეებს შორის. მე მიუკერძოებლად, როგორც ისტორიკოსი, ვამბობ — ეს არის სამოქალაქო ომი, სადაც ქართველები ქართველებს ხოცავენ. იგი არ ატარებს კუთხურ ხასიათს, რადგან გამსახურდიას მხარეზე მრავალი კუთხის წარმომადგენლები დგანან. იგი დაიწყო რუსთაველის პროსპექტზე, როდესაც შეიარაღებულმა ხალხმა ხელისუფლება დაამხო. მე ამასწინათ დავწერე, და ახლაც ვიმეორებ — სამოქალაქო ომმა რუსთაველიდან ცხენისწყალზე გადაინაცვლა, მაგრამ ვიმეორებ, ისტორიკოსის თვალით ამაში არაფერი განსაკუთრებული არაა. ჩვენ ბოლო დროს ხშირად გავიძახით, „ეს რა საშინელი ხალხი ვყოფილვართ ქართველები, როგორ დავერიეთ ერთმანეთსო.“ მაგრამ გაიხსენეთ საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი, იტალია, რომელი ერთი ჩამოვთვალო... მათ ჩვენზე ათასჯერ უფრო ძლიერი სისასტიკით ჟლიტეს ერთმანეთი. იმათ თუ შევადარებთ თავს, ანგელოზებად გამოვჩნდებით.

ყველაფერი, რაც ახლა ხდება, ჩვეულებრივი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, იგი მარადიულია და მასში არაფერია გასაოცარი. ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობები. ისტორიის მანძილზე კი, ხან ერთი იმარჯვებდა, ხან — მეორე. ასე რომ, ყოველი უარყოფითი გრძნობა, — შური, სისასტიკე, პირველობისკენ სწრაფვა, მკვლელობაც კი, ზოგადადამიანური თვისებაა. ხოლო იმისათვის, რომ მათ არ იმძლავრონ ქვეყნის მასშტაბით, მას სჭირდება კანონი, იძულებითი ძალისმიერი აპარატი. ალმაშენებელმა, რომლის მაგალითიც ბევს მოყავს, იმით შეძლო სახელმწიფოს განმტკიცება და დამორჩილება, რომ კანონი მის შესაბამის რანგში აიყვანა.

ვამბობ მსოფლიო ისტორიის პრაქტიკიდან გამომდინარე — ქვეყანაში, სადაც კეთილდღეობა და სიმშვიდეა გამეფებული, ადამიანების სულებში გროვდება ბალღამი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად იჩენს თავს და გამოვლინდება. ამის ახსნა ჩვენს ადამიანურ გონებას არ ძალუძს, მაგრამ ობიექტურად, ფაქტობრივად ეს ასეა. ამას უხეშად „სისხლის გამოშვებასაც“ უწოდებენ. ჩვენთვის დღეს სწორედ ბალღამისა და შურის გამოვლენის პერიოდია. ეს გზა, იმავე შინაური ლოგიკით ჩვენთვისაც გასავლელია. მაგრამ შემდეგ აუცილებლად დადგება კეთილდღეობის ხანა, რომელიც ყოველ შვიბნელ პერიოდს მოსდევს კვალად. ამასაც როგორც ისტორიკოსი, გეუბნებით. ერთმანეთთან შუღლი და მტრობა წინათაც ხშირად გვქონია და ახლა იმიტომ გავიმეორეთ, რომ ისტორიის ანაბანა დაგვავიწყდა. მაგრამ, ამისდამიუხედავად, ვიცი, რომ მომავალი სინათლეს მოიტანს.

* * *

ზაურ ბაბუნაშვილი,

ისტორიკოსი. პროფესორი,

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი მზად არ აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობისათვის, ჩვენთვის იგი, მხოლოდ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლოზუნგების წამოყვირებით შემოიფარგლა. ერის გამოღვიძებისას წამყვანი როლი ყოველთვის ახალგაზრდობას ეკისრება, ჩვენ კი იგი საამისოდ ვერ მოვამზადეთ, თავის ნებაზე მივუშვით, უფროსი თაობები კი მათ უკან მივჩანჩალებდით. მე კარგად მახსოვს, 9 აპრილს ბატონი სოლომონ ხუციშვილი, მხცოვანი, უბრწყინვალესი მეცნიერი, ტრიბუნაზე როგორ აიყვანეს და დამოუკიდებლობაზე სიტყვა ათქმევინეს. ლოზუნგები კი არ უნდა ესწავლა ჩვენს ახალგაზრდობას დიდი მეცნიერისაგან, არამედ რეალური, საფუძვლიანი ცოდნა მიეღო მისგან. მაგრამ, სამწუხაროდ ბატონი სოლომონისგან ამას მაშინ არავინ ითხოვდა.

თუმცა, ეს მხოლოდ ახალგაზრდობის ბრალი როდია. ჩვენ არ გვყვანან პროფესიონალები, რომლებიც დამოუკიდებელ ქვეყანას ჰაერივით ესაჭიროება — მაგალითად, საგარეო ურთიერთობათა სპეციალისტები. 1945 წელს უნივერსიტეტთან გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება, მაგრამ ისიც სამ წელიწადში დახურეს. ასე აღმოჩნდა, რომ ამ დარგებში ჩვენ არც მეცნიერები გვყავს და არც პრაქტიკოსები, გარდა ერთი-ორი პიროვნებისა.

ასე მოხდა ეროვნული, სახელმწიფოებრივი საქმე არაპროფესიონალთა ხელში. ეს არის დღევანდელი სიტუაციის ერთერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი. რაც შეეხება ახლანდელი შეიარაღებული ბრძოლის კლასიფიკაციას, იგი ორდინალური სამოქალაქო ომის მშვენიერი მაგალითია. ომისა, რომელშიც ჩართულია მოსახლეობის ყველა ფენა, ყველა კლასი და არა ცალკეული პარტიები და დაჯგუფებები. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, როგორც მეცნიერი, მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს არის სამოქალაქო ომი, თავისი ყველა გამომდინარე შედეგით.

სამანელები და ანტისამანელები

როსტომ ჩხეიძე

ბარსეგან კურდღელაიძის სახელი სამანელთა ტრაგიკული თავგადასავლის მოსმენისას ჩამრჩა ხსოვნაში.

თვითონ იგი სამანელი არა ყოფილა. პირიქით, მოწინააღმდეგე ჩანდა, რადგან მათ შორის ერია, ვინც თელავის ჩეკას უფროსმა ალექსი კვაშალმა მოუგზავნა თუშეთში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თავკაცს გიგო ქაიქს და შეუთვალა: თქვენი საქმე წასულია, ნულარც გერმანელების იმედი გექნებათ და ნულარც სხეისი, შემოგვირიგდით და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო. გიგოს და მის თანამებრძოლთ ძალიან უთაკილიათ ეს შემონათვალი და შუამავლებისათვის დაუბარებიათ, საბჭოთა აგიტაცია ჩვენზე არა მოქმედებს და ვინც მოგიტყუებიათ, ისინი მოატყუეთო.

არადა, სამანელთა მოძრაობას უკვე მართლაც მძიმე დღე დახდგომოდა: ზოგი მოშხრენი გადაუდგნენ და ჩამოსცილდნენ, ზოგიც ჩეკამ შეიპყრო, — მაგრამ პროტესტანტთა მთავარი ბირთვი და მათი ერთგულნი დანებებასა და ხელისუფლებასთან შერიგებას არ აპირებდნენ.

გარსეგან კურდღელაიძემ გიგო ქაიქის დანაბარები ამცნო ჩეკას, რომელმაც გადამწყვეტი შეტევა მოაწყო სამანელთა თავკაცზე. და კიდეც საბედისწეროდ დასრულდა ყველაფერი სამანელთათვის.

ამ შეტევის მოშსადებისა და მისი ხორცშესხმის ამბავს რომ ვისმენდი, იქ ადარ გახმიანებულა გარსეგანის სახელი, თუმც საფიქრებელი იყო, რომ სხვა შუამავლებთან ერთად ამ შემთხვევაშიც გარკვეულ როლს შეასრულებდა. ასეა თუ ისე, ჯერ მარტო მისი შუამავლობაც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა.

და, აი, მოულოდნელად ხელთ ჩამივარდა გარსეგან კურდღელაიძის მემუარული ყაიდის თხზულება „მოყინულ ბილიკებზე“, დაწერილი 1976 წელს. აქ გადმოცემული იყო თუშეთში 1942-43 წლების დრამატული მოვლენები. ხელნაწერი მოგაწოდა ბ-ნმა არსენ შველაშვილმა: საგანგებოდ ნემთვის გამოურთმევია გარსეგანის ოჯახისათვის. მანვე შემიგროვა დოკუმენტური ცნობები ამ პიროვნების ირგვლივ.

* * *

გარსეგან კურდღელაიძეს შემთხვევით არ მოუკიდია ხელი ამ დრამატული მოვლენების აღწერისათვის. მისთვის კალამი უცხო არა ყოფილა და, რა გასაკვირია, რომ სურვილი გასჩენოდა მოეყოლა ის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამბები, რომლის შუაგულშიც თვითონაც აღმოჩნდა.

მაშინ გამოქვეყნებაზე ვერც იფიქრებდა: ხელისუფლება კრძალავდა საბჭოური ეპოქის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსებობაზე კრინტის დაძვრასაც, როგორი ტენდენციითაც უნდა ყოფილიყო დაწერილი.

ასეთი რამ არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულიყო, მათ შორის, სამანელთა საიდუმლო ორგანიზაციაც: მორჩა და გათავდა... ამიტომ არავის, ვინც მის ამ მემუარულ თხზულებას გაეცნობა, არ უნდა გაუკვირდეს: გამოუქვეყნებელი როგორ დარჩაო...

გ. კურდღელაიძის სხვა თხზულებანი კი — სამეცნიერო ნაშრომები გეოგრაფიაში, მოგზაურობის ჩანაწერები, მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები — თითქმის ყველაფერი დაბეჭდილია ჟურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო კრებულებში და ზოგიერთი ცალკე წიგნადაცაა გამოცემული. მათგან განსაკუთრებით საგულისხმოა „ანტარქტიდის დღიური“ (1962 წ.), ცოცხლად და მიმზიდველად მოთხრობილი იქაური შთაბეჭდილებანი; და სამეცნიერო-პოპულარული თხზულება „თუშეთი (მეურნეობა, ბუნება, ტოპონიმიკა)“ (1983 წ.), სადაც თავმოყრილი და განზოგადებულია მკვლევარის მრავალწლიანი ძებანი მშობლიურ კუთხეში. იგი თუშეთის მიწა-წყლისა და ზეს-ჩვეულებათა ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. ამ წიგნში განხილულია თუშეთის, საერთოდ მთიანი მხარის, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეკონომიკურ-ყოფითი თავისებურებანი. მცოდნე პირთა მოწმობით, ეს უკვე ყველასთვის ნათელია, ვინც „თუშეთს“ გაეცნობა. საგულისხმოა წიგნის ის ნაწილიც, სადაც აღნუსხულია ამ კუთხის გეოგრაფიული სახელწოდებანი.

დაიბადა 1920 წლის 11 ოქტომბერს თუშეთში, ახმეტის რაიონის სოფელ შენაქოში. თბილისის სასოფლო-სამეურნეო მუშაკის დამთავრებისთანავე 1940 წელს დაუბრუნდა თავის მხარეს და ქვემო ალვანის კოლმეურნეობაში დაუწყია მუშაობა ფინანგენტად... მოგვიანებით, 1951-56 წლებში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. ორ წელიწადს თუშეთში იყო ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსად, 1957 წელს კი მიიწვიეს ანტარქტიდის მე-3 საბჭოთა ექსპედიციაში. ხელმძღვანელობდა მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს. საერთოდ, იგი გახლდათ პირველი ქართველი მეცნიერი, ვინც ფეხი დაადგა ანტარქტიდის კონტინენტზე... მონაწილეობდა ჰიდრომეტსამსახურის ოკეანოლოგიის ექსპედიციებშიც გემ „პასატსა“ და „მუსონზე“ (1970 და 71 წლებში). განსაკუთრებით იზიდავდა ბოლოუსტრიმის დინების, გიბრალტარის სრუტისა და ბერმუდის სამკუთხედის სადისკუსიო საკითხები. ჩამოყალიბდა და გამოქვეყნდა ბერმუდის სამკუთხედის პარადოქსის ახსნის — სპეციალისტთა მოწმობით — მეტად ორიგინალური და საინტერესო ვერსია.

1959 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (გარდაიცვალა 1983 წლის 12 ოქტომბერს) მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც იგი თაოსნობდა ქართველ გრაციოლოგთა ექსპედიციებს და წლობით იკვლევდა მყინვარებსა და მთის მდინარეებს (მონაწილეობდა საქართველოს მყინვართა კატალოგის შედგენაში. ეს წიგნი გამოიცა ლენინგრადში 1975 წელს); თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის საქართველოს მღვიმე-გამოქვაბულების შესწავლაშიც: მონაწილეობდა სამეგრელო-აფხაზეთის სპელეოლოგიურ ექსპედიციებშიც — ეშვებოდა ღრმა უფსკრულებში, ატარებდა ჰიდრომეტრიულ და მეტეოროლოგიურ გაზომვებს, იკვლევდა კარსტულ წყაროებსა და მიწისქვეშა მდინარეებს... გეოგრაფიის ინსტიტუტის სიონის ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში წარმართავდა კომპლექსურ დაკვირვებებს. სამეცნიერო სტატიები შექმნილი აქვს ყველა ამ სფეროში.

ჰქონდა ხეზე კეთის ნიჭიც: გამხმარი ტოტებისა და კუნძებისაგან ჰქმნიდა ცხოველთა თუ საგანთა მშვენიერ გამოხატულებას. ხშირად და წარმატებით მონაწილეობდა თვითმოქმედ ხელოვანთა გამოფენებში.

როგორი მრავალმხრივი ინტერესების, პოეტური სულის პიროვნება ჩანს გარსეგან კურდღელაიძე. და მითუფრო გულსატკენია მისგან ის ფრაზა, რაც ასეთი გულმოდგინებით შეასრულა თუშეთის 1942-43 წლების ტრაგიკულ მოვლენებში.

აუხსნელია ისიც, რომ არასოდეს გასჩენია მონანიების, სინანულის გრძნობა...

* * *

„მოყინულ ბილიკებზე“ არ არის მომნანიე კაცის აღსარება. თხზულება გაჟღენთილია სამანელთა მიმართ დაუფარავი სიძულვილით, ყოველნაირად ამცირებს და გმობს მათ ეროვნულ-პოლიტიკურ მცდელობას; და სავსებით გამართლებულად მიიჩნევს სამანელთათვის ხელის შეშლასა და გართულებების შექმნას, საბოლოოდ კი მათი მოღვაწეობის აღკვეთას. მემუარისტს ეამაყება, რომ თვითონაც წინ აღუდგა სამანელთა მოძრაობას და სხვებსაც აქეზებდა საამისოდ.

თხზულებას აშკარად ეტყობა ეს მკვეთრი ტენდენცია: სამანელთა დევნა და შევიწროვება აღქმულია საბჭოური თვალთახედვით; მაგრამ როგორი თვალთახედვითაც უნდა იყოს შექმნილი ესა თუ ის თხზულება საერთოდ და, კერძოდ გ. კურდღელაიძის „მოყინულ ბილიკებზე“, უთუოდ მნიშვნელოვანია ისტორიული სურათის აღდგენისას...

თვით საბჭოური უშიშროების კომიტეტის ყოვლად გაჟალბებული საგამომძიებო ოქმების მართებული ანალიზითაც შეიძლება ზოგი რამ გაირკვეს და მემუარები ხომ მითუფრო დაგეხმარება მოვლენათა მთლიანობაში და მეტი სიზუსტით გასაზრებლად.

სულაც არ არის აუცილებელი, ყველა ისევე აღიქვამდეს მის წინაშე აღმართულ რეალობასა თუ გარდასულ ამბებს, როგორც საქართველოს წამდვილი ისტორიის გადასახედიდან მოწანს. მითუმეტეს, თუ ასეთი განსხვავებული თვალთახედვა ეკუთვნის არა მარტოოდენ დამკვირვებელს ისტორიული მოვლენისა, არამედ მის უშუალო მონაწილეს.

ამიტომ საკვლევით გამართლებულად მიმაჩნია ამ და ამგვარ თხზულებათა გამოქვეყნება.

ოღონდ ეს კი: რადგანაც სამანელთა მოძრაობა — როგორც საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია 1801 წლიდან. დღემდე — ხელისუფლების მიერ სრულიად მიყრუებული და დამახინჯებული იყო, და მთელი თავისი ღირსებით მხოლოდ ახლადა, ჩვენს თვალწინ იკვეთება, შესაძლოა ყველა სათანადოდ ვერ გაერკვეს გ. კურდღელაიძის ამ თხზულებაში და სრულიად უსაფუძვლო ეჭვებიც გაუჩნდეს.

ასე რომ, წინასწარ აუცილებელია მისი, როგორც ისტორიული წყაროს, დახასიათება და შეფასება, და გამოქვეყნების დროსაც შესაფერისი — თუნდ მოკლე — შენიშვნების დართვა.

შეცვლილი კი თხზულებაში ერთი სიტყვაც არ უნდა შეიცვალოს. ხელოვნური ჩარევები არასოდეს არაა სასურველი, ხოლო ამ შემთხვევაში ყოვლად გაუმართლებელი იქნება.

ჯერ ერთი, „მოყინულ ბილიკებზე“ წარმოგვიდგება სამანელთა გასანადგურებლად გაშლილი ანტისამანური მოძრაობის პანორამად; და მეორეც, სტილურად საკმაოდ კარგადაა დაწერილი და დოკუმენტური მოთხრობის უდავო ნიმუშია. ნიშანდობლივია, რომ სათაურიც მოთხრობისა აქვს შერჩეული.

გარსეგან კურდღელაიძეს მწერლური უნარი რომ ჰქონდა, ეს იგრძნობა არა მხოლოდ თუშეთის პეიზაჟების მოხდენილი აღწერით, არამედ, უპირველესად, თხრობის დინამიურობით. მშრალი ბუნების კაცი რომ არ ყოფილა, თუშეთის ხეობების შემოვლა ამიტომაც ულვიძებს პოეტურ განცდებს. ასეთი განცდები გაცილებით თვალშისაცემია ილია ცისკარიშვილის დღიურის კითხვისას, მაგრამ იქ ეს არცაა გასაკვირი: ილია სამანელი იყო და, როგორც ყველა პატრიოტი, რომანტიკული სულისა. ამიტომაც დატყობია მის „ტყის ჩანაწერებს“ (მოიცავს 1943 წლის იანვარს) მინდიასებური ლტოლვა ბუნების იდუმალების შესაგრძნობად. მაგრამ, აი, ჩეკას სამსახურში ჩამდგარი კაცისაგან, ეტყობა, სულ არ მოველოდი, ბუნების სილამაზის განცდის ასეთი უნარი თუ შერჩებოდა.

თითქოს ისიც უცნაურია, საკმაოდ ნათლად რომ ხედავს საბჭოურ ეპოქაში თუშეთის (და მთელი ქვეყნის) ცხოვრების აშკარა დაქვეითებას, ზნეობის წახდენასა და ხალხის სრულ გადასხვაფერებას. და ამის მიზეზად მიიჩნევს სწორედ ახალ წეს-წყობილებას: კერძო საკუთრების ჩამორთმევას, კოლმეურნეობების შექმნასა და თავგადაკლული შრომის საზღაურად ძლიერ ცოტა ხელფასს. ხალხი თავის თვალით უყურებდა, თუ როგორ ითვისებდნენ კოლმეურნეობათა მესვეურნი რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, „... მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ, ჯერ ერთი, ფიქრობდნენ, მაინც ყველაფერი სახელმწიფოს მიაქვს, ჩვენ არაფერი გვეძლევაო, მეორეც ისა, რომ ეშინოდათ, ისეთ რამეს დაგწამებდნენ, რომ შენს მიწა-წყალს ეფარ ისაკადი ამ. ტომაც დამონებული ხმის ამოუღებლად ასრულებდა უფროსთა ბრძანებას“.

რა გასაკვირია, რომ ხალხს თანდათან გული აუცრუდა და შრომის კულტურაც დაიკარგა. უღირსებო ადამიანებმა ქურდობა გაიხადეს ხელობად, პატიოსანი კაცი კი გასაწყლდა და დაბეჩავდა, ბევრს პურისა და ჭადის შოვნაც უჭირდა. უზომოდ გაზრდილი გადასახადები ხომ მთლად წელში წყვეტდა მოსახლეობას.

აქ ერთი სცენაა ჩართული, უმორისტულ მოთხრობას რომ დაშვენდებოდა: გარსეგანი მესამე თუ მეოთხე კლასშია და მასწავლებელი უამბობთ ძველ დროში გლეხთა გასაჭირზე, თუ როგორ ართმევდნენ ბატონები გლეხებს ყველაფერს, რაც მოეწონებოდათ. მასწავლებლის თხრობას დაემთხვა ფინანგენტების ჩამოვლა სოფლად გადასახადების ასაკრეფად, თან ურემი წამოელოთ, რათა ვინც ვერ გადაიხდიდა, მათი ოჯახიდან გარეულ გამოეტანათ საკერავი მანქანა, ფარდაგი, ქვაბი თუ სხვა. გარსეგანი ფანჯარასთან მჯდარა და გირაოებით დატვირთული ურმისათვის თვალი რომ მოუკრავს, წამოუძახია: ესე ართმევდნენ ძველ დროშიო?! მასწავლებელი გაწრისხებულა, სად ეშმაკებში იყურებიო, ოღონდ ხმადაბლა კი ჩაულაპარაკებია: დიახ, ეგერეო...

რა ქნას: სიცრუის პროპაგანდა ეკვლება და ისიც ერთგულად ასრულებს ამ დავალებას — სახელს უტეხს წარსულს, მიაწერს იმას, რაც მაშინ კი არა, ახალ დროში, ყველას თვალწინ ხდებოდა. არადა, სიმართლის თქმას ვინ დაგანებებდა: რეალობას ფარდა უნდა ჩამოფარდოდა, ზედ ამოქარგული კეთილდღეობის სურათებით, და ამ ფარდით შემოვარგლულ გარემოს ნაჭუჭში უნდა მოექცია ადამიანის ფიქრი და განსჯა.

„დიახ, ეგრეო“ — გულისნადებია, რაც ჯერ მხოლოდ ჩურჩულით გამოითქმოდა.

სარკმლიდან მაინც ჩანდა სინამდვილე.

პროპაგანდისტულ ფარდაშიც გამოეჭრა ეიღაცეების მადლიან ხელებს სათვალთვალოები. და ეს რომ არა, მართლა ჩაიხშობოდა ყველაფერი.

თურმე გარეკეულ ... ძეც ისე აღიქვამს საბჭოურ წეს-წყობილებას, როგორც მოგვიანებით შეფასდება ეს 70-წლიანი ხანა.

ასევე აღმქვამდნენ სამანელებიც.

მათ შორის განსხვავება ისაა, რომ სამანელები ამ წყალობის შეცვლას ფიქრობდნენ, თუკი მსოფლიო პოლიტიკური გარდატეხაც შეეშველებოდათ, ხოლო გარსეგანს ისევ ეს რეჟიმი და წყობა ერჩიენის ეროვნულ მოძრაობას, რაც დიდ შეცდომად და დამლუპველად მიაჩნდა ქვეყნისათვის. მას არაფერი სწამს სამანელებისა, არც მათი იდეალებისა სჯერა, რადგან დარწმუნებულია, რომ მათ მზაკვრულად ისარგებლეს ხალხის დაბაჩაებული ყოფით და იოლად ჩაიყოლიეს თუშები საშიშ მოძრაობაში.

„ბევრისგან ისიც მსმენია, ნუთუ თუშეთში არ იყო ჭკვიანი მყოველი კაცი, ეთქვა, ამას რას სჩადით! შეჩერდით! თორემ დაიღუპებითო. ამ კითხვის დამსმელებს ავიწყდებათ, რომ ასეთი მსჯელობა მხოლოდ მომხდარი ამბის შემდეგ იწყება, „გზა მაშინ გამოჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდებაო“.

ისე ჩანს, გარსეგანი ნანობს, რომ თავიდანვე ვერ აღუდგა წინ სამანელებს და მხოლოდ მაშინ შეიტყო მათი მიზნები, როცა საბჭოური ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა მთელს თუშეთში გაიშალა და საკმაოდ მომძლავრებულადაც გამოიყურებოდნენ.

საბრალო სამანელები ჯერ ვერ გრძნობდნენ, თუ რარიგ არამყარი იყო მათი მდგომარეობა და დაიმედებულნი ახალ-ახალ მომხრეებს იკრებდნენ. არადა, თავიდანვე სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მზერის არეალში იყვნენ მოქცეულნი: ამიტომაც ტრიალებდა მრავალი გამცემი მათ შორის, ისევე როგორც მათი წინამორბედებისა — შემდგომ 1942 წლის შეთქმულებად სახელდებული პატრიოტების წრეში.

შეთქმულები უკვე თბილისის [illegible]

ახლა სამანელთა ჯერიც დამდგარიყო.

რადგანაც /სამანელთა მთავარი ბირთვი ტყეებსა და გამოქვაბულებს შეფარებოდა, იარაღიც ჰქონდათ და რაზმებიც ჩამოეყალიბებინათ, მათი განადგურება მთლად იოლად და მალე ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ სახელმწიფო მაინც სახელმწიფო იყო, თანაც ტირანულ რეჟიმს მწვერვალისათვის მიეღწია და პროტესტანტებს როდემდე აპარპაშებდა.

მათ აღსაკვეთად ჩეკას მოქმედების აუცილებელი ნაწილი იყო ანტისამანური მოძრაობის გაშლა თუშეთში: გამცემთა მიერ მოწოდებულ ცნობებს უნდა შეშველებოდა ხალხთან პროპაგანდისტული საუბრები პროტესტანტთა სახელის გასატეხად და მათი დასაყრდენის გამოსაცლელად.. სამანის წევრთა გადმოსაბირებლად კი მხურვალე დაპირებებს არ იშურებდნენ.

ამის შემსრულებელნიც — გამცემებისა არ იყოს — თვითონ თუშთა შორის უნდა გამოძებნილიყვნენ.

გარსეგან კურდღელაიძეც ამ ანტისამანური მოძრაობის ერთ-ერთი თაოსანი ჩანს და მისი შუამავლობა ამ საქმიანობის მხოლოდ ერთი რგოლი ყოფილა.

ეს ყოველივე ნათლად ირკვევა მისი დოკუმენტური თხზულებიდან.

მერე რა, რომ გულმოდგინედ ცდილობს დაუაროს თელავის უშიშროებასთან მჭიდრო კავშირი. ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გამოტყდებაო. და გულისყურს თუ გავიმახვილებთ, ამგვარ „გამოტყდომებს“ აქაც არა ერთს წავაწყდებით.

თვითონ ირწმუნება, რომ საკუთარი გულის კარნახმა, ხალხის გადარჩენის წადილმა დააყენა ამ გზაზე: დააპირისპირა სამანელებს. და ასეთივე გულწრფელი მიზანი ამოქმედებდა კოლა იჭირაულსაც, ვინც პირველმა წააქეზა გარსეგანი.

ალბათ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მემუარისტი პირწმინდად ცრუობს თუ თვალთმაქცობს და მხოლოდ ანგარებამ აცდუნა პროტესტანტთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ. უბრალოდ, აქ ის მოხდა, რომ მისი შეხედულება დაემთხვა ხელისუფლებისა და უშიშროების ინტერესებს და ასე ენერგიულად ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომაც ჩაება სამანელთა დევნა-შეეიწროებაში.

თავიდან ვითომ არაფერი: გარსევანი და კოლა ფინანგენტები არიან და 1942 წლის ზაფხულში სოფელ-სოფელ დადიან გადასახადების ასაკრეფად. კოლას გზად ნაცნობი შეხვდება, ისაუბრებენ და დასცილდებიან. ფინანგენტები ვესტომთის ერთ თხემზე ჩამოსხდებიან და შეისვენებენ. და, აი, აქ ჩამოაგდებს სიტყვას იჭირაული ხალხის გასაჭირზე და აღშფოთებას გამოთქვამს იმ პიროვნებების, „წვეროსნების“ მიმართ, რომლებიც თურმე ცდილობენ ისარგებლონ გლეხკაცობის მძიმე ყოფით, ბინებში დადიან და ყველას აქეზებენ, საბჭოთა კავშირის საქმე წასულია, გერმანელები კავკასიას მოადგნენ, აგერ, ზარბაზნების ქუხილიც ისმის, მთელი ქისტეთი მათ მხარეზეა, გაისად აქაც შემოვლენ, კოლექტივებს მოსპობენ, ხალხს კერძო საკუთრებას დაუბრუნებენ და ამდენ გასაჭირსა და უსამართლობას ბოლო მოეღებაო; ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება და დააჩქარებს გერმანელთა შემოსვლას, რაზმებსაც ვაყალიბებთ და ამიტომ თქვენც უნდა შემოგვიერთდეთო.

კოლა იჭირაული შეწუხებულია და ლანძღვასაც არ ერიდება: ეგ მამაძაღლები ბევრს შეიყვანენ შეცდომაში და ისეთივე ამბავი მოხდება, რაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის დროს მოხდა, ეშმაკმა წაიღოს მისი თავი, მაშინაც ასე დადიოდნენ ქაქუცას რაზმელები მეცხვარეებში და ხალხს აქეზებდნენ და აშაოდებდნენ მთავრობის საწინააღმდეგოდ, მაგრამ როცა მთავრობამ გაიგო და საჭირო ზომები მიიღო, თვითონ ქაქუცამ თავს უშველა, ხალხი კი ამოწყდა. ახლა უარესი მოხდებაო.

მართალია, გარსევანს უმტკიცებს, იმ წვეროსან პიროვნებათა საქმიანობაზე, გზად რომ ნაცნობი შემომხვდა, მან შეშინებულია, მაგრამ მისი მსჯელობა და -ის გარემოება, რომ თავისი აღშფოთება მაშინვე კი არ გაუზიარა თანამგზავრს, არამედ შესაფერის წამს დაელოდა, აღძრავს საეჭვოლიან ეჭვს, რომ იგი საგანგებო დავალებითაა გამოგზავნილი და ფინანგენტობა ის აუცილებელი ნიღაბია, რამაც ხალხის თვალში უნდა გაამართლოს სოფელ-სოფელ სირულისა და გლეხკაცობასთან შეხვედრა-საუბრების აუცილებლობა.

ასე რომ, მას ჩაუთრევია გარსევანი ანტისამანურ მოძრაობაში და ის მთავარი პროპაგანდისტულ-დემაგოგიური ხერხიც ასწავლა, რასაც უნდა დაეყრდობოდნენ მოსახლეობის გადმოსაბირებლად და სამანელთა მიმართ უნდობლობის გასაღვივებლად: მათ თქვენი ბედი არ ანაღვლებთ, თუ რამე მოხდა, თვითონ გაქცევით უშველიან თავს და ჩეკას პირისპირ შეგატოვებენო.

ვითომ კომუნისტური პარტია და უშიშროების კომიტეტი ფიქრობდა ხალხზე, პატრიოტები კი — არა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს რომ ახსენებს, ჩანს, მკაფიოდ ხედავს ამ ახალი მოძრაობის მსგავსებას 1921-24 წლების წინააღმდეგობის მოძრაობასთან და სინამდვილეში ასეცაა: სამანელებიც და 1942 წლის შეთქმულნიც (რომლის წიაღიდანაც იშვა სამანი) სწორედ ქაქუცას გზაზე შემდგარიყვნენ — იგი ესახებოდათ იდეალად და არა დამოუკიდებლობის წლების ხელისუფლება, ოღონდ იჭირაული როგორც ერთ, ისე მეორე მოვლენას, ცხადია, უაღრესად ტენდენციურად და საბჭოური თვალთახედვით ზომავს.

დღესდღეობით იმდენად მაინც გარკვეულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნებაც და 1924 წლის ამბოხების რაობაც, რომ ასეთი პროპაგანდისტული ფანდი ვეღარავის დააბნევს: ქაქუცა უბრძოლველად იმიტომ არ გასცლია საქართველოს, რომ თავის შველაზე ფიქრობდა და ხალხი კი დაუნანებლად შეატოვა გამძვინვარებულ ჯალათებს. რადგანაც ამბოხება გაცემული აღმოჩნდა და ხელისუფლებამ წინასწარი პროვოკაციული ჩანაფიქრით თვითვე ხელოვნურად გამოიწვია მისი ამოფრქვევა, ეროვნული მოძრაობის მოთავე მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაგრძელებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. და მისი გახიზვნა ემიგრაციაში შეფიცულთა რაზმთან ერთად იმას გულისხმობდა, რომ ხალხისათვის ტარბევა აეცდინა. მაგრამ რაკიღა ბოლშევიკური რეჟიმი არანაირ კანონ-სამართალს არა სცნობდა, ყოველად უდანაშაულო ხალხი ისევე აპატიმრეს და ულიტეს, როგორც, ვთქვათ, 1937 წელს, როცა ამბოხება არავის ჰქონია განზრახული.

თუშეთის 1942-43 წლების დრამატული მოვლენები იმითაც ჰგავს 1921-24 წლების წინააღმდეგობის მოძრაობას, რომ ისიც პროვოკაციულად იყო გამწვავებული ხელისუფლებისა და ჩეკას მიერ: წინასწარ შეგზავნილი გამცემები ამბოხებულთა შორის და გარკვეულ დრომდე ლოდინი, ვიდრე წინააღმდეგობის ქსელი თითქმის მთელს თუშეთს მოედებოდა, კვლავ იმ მზაკვრულ მიზანს ისახავდა.

სამანელები ყოველნაირად ფრთხილობდნენ და ახალ-ახალ წევრებს იმ ხერხით იკრებდნენ, რაც კოტე ჯოგლიძემ შემოიღო 42 წლის შეთქმულთა წრეში კონსპირაციისათვის: საიდუმლო ორგანიზაცია სამეულად იყო დანაწილებული, რათა შეთქმულების მთლიანი ქსელის არსებობა არ სცოდნოდათ და რომელიმე ჯგუფის ჩავარდნის შემთხვევაში მთელს ორგანიზაციას არ დამუქრებოდა საფრთხე (სამანელები სამეულებად დაყოფის ხერხს მოსახლეობაში მიმართავდნენ, თორემ ვინც ტყეებს შეფარებოდა, ამ ციფრით ვერ შემოიფარგლებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მთლიანი ქსელი რამდენიმე კაცის გარდა არც აქ იცოდა ვინმემ)... მაგრამ როგორც შეთქმულები იყვნენ წინასწარვე გაცემულები და პატრიოტებთან ერთად ორგანიზაციას მზანდასახულად ემატებოდნენ ჩეკას მიერ შეგზავნილნი, ისე სამანელების სიფრთხილეც თურმე ამაო იყო. მოგვიანებით ერთ-ერთი პატრიოტი ივანე მაჩაბლიშვილი იმასაც იტყვის: ყოველ სამ კაცში ერთი გამცემი ერიაო (ჩაიწერა დავით იუკურიძემ. „სიმართლე“, 1992, № 11).

ესეც ბედისწერად დაჰყვა ჩვენს ბიოლო ორსაუკუნოვან ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ კოლა იჭირაულის ბინაზე ცხოვრობდა ომალოში საგანგებო დავალებით მოვლინებული შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა წერეთელი. კოლას მისთვის უცნობებია, ასეთი და ასეთი საიდუმლო ორგანიზაცია მოქმედებს ჩვენში და დროზე მიიღეთ ზომებიო; ქაქუცას სახელიც უხსენებია. წერეთელს ეს ყოველივე უკვე სცოდნოდა და კოლასთვის ამრეზით უპასუხია: თქვენი ჭკუის დარიგება არ გვჭირდებაო. როგორც ჩანს კიღაც წვრილვეხა აგენტის დახმარება ითაკილა.

ამასთან, თუშეთში ასულა დიდძალი ჯარის ნაწილები და დაბანაკებულან ჰირიქითის მთების გადასასვლელებში, ვითომდა ცხვრისა და მწყემსების გადასარჩენად ქისტების განუწყვეტელი თავდასხმებისაგან, მაგრამ ცხვარმეცხვარეს მათი ასვლით არაფერი ეშველა, რადგან მართლა მათი დაცვა ხომ არ ყოფილა განწრახული.

ხაგულისხმოა, რომ ერთ-ერთი სამანელი ლუარსაბ მელაიი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ომალოში) გარსევანს სანდო კაცად მიიჩნევს და საუბრისას წვეროსნებსაც უხსენებს: წოვები არიანო, ძალიან განათლებული ხალხიო. მერე საერთაშორისო მდგომარეობაზეც ჩამოაგდებს სიტყვას, ხალხის გასაჭირზეც, გერმანელთა წარმატებებზეც და გარსევანსაც შესთავაზებს მათ ორგანიზაციაში ჩაბმას. ეს არც ჰოს ეტყვის და არც არას. ირწმუნება: მასთან შეხვედრას ვერიდებოდიო. მერე კი თითქმის შემთხვევით გაეცნობა გიგო ქაძესა და მის რამდენიმე რაზმელს. გარსევანი შოთა ბაკურაძესთან ერთადაა, ის კი მეამბოხეებს სანდო კაცად მიაჩნიათ. ასე შეიტყობს იგი, რომ სამანელებს კოლმეურნეობის საწყობიდან გაუტანიათ ხორბალი და ყველი და კიდევ აპირებენ; და როცა სანოვაგის რაოდენობა განსაზღვრეს, გარსევანი მიმხვდარა, რომ საკმაოდ ბევრი თუში ყოფილა ჩაბმული წინააღმდეგობის მოძრაობაში.

ერთი თვის თავზე ომალოში დაბინავებულ გარსევანსა და შოთას ესტუმრებათ ბაგრატ მარწინაიძე, ვინც აცნობებთ, შტროლთაში უშიათ პლატოანთას საქმე მქონდა და იქ წვერიანი ხალხი დამხვდა, ფარსიკაანთ გიგოც (იგულისხმება გიგო ქაძე) მათში ერია და ეგენი საკაიკაცოდ არ იყვნენ ამოსულებიო. უშიანთას ბერდედამაც შემომჩივლა: ჩემი ბიჭებიც რომ დაღუპეს, მაშინაც ასე დადიოდნენ და ახლა პლატოსაც დამიღუპავენო (კვლავ ქაქუცას რაზმელებზე მინიშნება!).

ესენი შალვა ხეცურიანსაც შეატყობინებენ და ერთად გამართავენ ბჭობას, ვინ გაგზავნოთ ისეთი კაცი, არც ეჭვი აიღონ და თან დაწვრილებითი ცნობებიც მოგვიტანოს, ვინ არიან და რისთვის ამოვიდნენო. მართლაც შეარჩევენ ასეთ პიროვნებას — სამსონ ინაურს, რჩევა-დარიგებას მისცემენ და გაისტუმრებენ.

აქამდე ხომ ასე წარიმართება თხრობა: ვითომ ყველაფერი შემთხვევით ხდება, სამანელთა მკილავებს ვითომ გულწრფელად აღელვებთ ხალხის ბედი და არავის კარნახსა და მითითებას არ ემორჩილებიან. მაგრამ ეს პასაჟი თვალნათლივ ამხელს მათ ზრახვებს. გულუბრყვილობასას თამაში — „ვინ არიან და რისთვს ამოვიდნენო“ — თითქოს მშვენივრად არ მოეხსენებოდათ, ვინც იყვნენ და რისთვისაც ამოსულიყვნენ, ანტისამანელთა აზრახვებს კი ვერ ჩქმალავს, პირიქით, უფრო აშიშვლებს.

კიდევ ერთი კაცი გადაბირეს და საგანგებოდ მიუგზავნეს საიდუმლო რაზმელებს. მერე ნახეთ: „მესამე დღეს სამსონი ამოვიდა, ბინდი იყო. დაეწერა ყველაფერი, როდის მოვიდნენ, ვინ იყვნენ, რისთვის იყვნენ ამოსულები“.

ეს „დაეწერა“ როგორ მოგწონთ?

განა ძნელი მისახვედრია, რომ ეს დოკუმენტი მხოლოდ ამათ გასაცნობად არ არის შედგენილი და იქ უნდა მიეწოდოს, საიდანაც ანტისამანელთა ქსელი იმართება?

რადგან სამანელთა ის წევრები ჭინჭახოვნიდან გომეწარში გადასულიყვნენ, ახლა იქ გასაგზავნი კაცი გახდა გამოსაძებნი. შეარჩიეს კაცი და ქალი. საჭირო დროს ის კაცი იმ ქალს გადასცემდა წერილს (გასაგებია რა წერილსაც) და ასე მოაღწევდა ცნობები ანტისამანელთა ბირთვამდე. ესენი თანდათან მართლა ბირთვად ჩამოყალიბდნენ: შემდგომი მოვლენები ამას კიდევ უფრო მკაფიოდ ადასტურებს. გომეწრიდან ამბები მოსდით (ყველა ცნობას „გულმოდგინედ კრებენ), რომ წვეროსნები კვლავ მტკიცედ განაგრძობენ თავიანთი ეროვნული მრწამსის ქადაგებას და კომუნისტური რეჟიმის აღსასრულის მოახლოებას, და ხალხს პირდებიან მიწისა და პირადი ქონების თავისუფლებას: მთელი წელი მუშაობთ და კოლმეურნეობიდან, აბა, რას გაძლევენ, გადასახადებმა ხომ სული ამოგხადათ, ბევრს შინ სამყოფი საჭმელიც არა გაქვთ, და თუკი გსურთ თავისუფლება, ჩვენს ორგანიზაციაში ჩაებითო.

გარსევანი სამანელებს ამ დაპირებას აგიტაციურ ფანდად უთვლის, სატყუარად, რათა გაჭირვებული გლეხობა ანკესზე წამოეგოთ და ხალხში დასაყრდენი განეტკიცებინათ.

ვითომ მართლა ფანდია?! ვითომ ისინიც ასევე ატყუებდნენ ხალხს, როგორც თავის დროზე ბოლშევიკები ეფიცებოდნენ: მიწა გლეხობისა იქნებაო. სინამდვილეში კი, რაც ჰქონდათ, ისიც წაართვეს და სრულიად დააკბალეს...

მაგრამ არა, ეს არავითარი ფანდი და სატყუარა არა ყოფილა: კერძო საკუთრების აღდგენა 1942 წლის შეთქმულთა ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მუხლი იყო, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი განვითარების აუცილებელი პირობა. და სამანელებიც განუხრელად მიჰყვნენ ამ გზას.

სამანელებზე ისეთ ხმებსაც ავრცელებდნენ: ვინც ნებით ვერ დაიყოლიეს, მუქარა-დაშინების პოლიტიკას დააყენებენ და ყველას იძულებით ითრევენ თავიანთ ორგანიზაციაშიო. ორგანიზაციაში ჩაბმა კი ფიცზე ხელისმოწერით დასტურდებოდა. ეს „მუქარის პოლიტიკა“ შეგნებულად დაყრილი ხმაა, თორემ ძალადობით იმედად ყოფნა რაოდენ ამაოა, პატრიოტებს მშვენივრად მოეხსენებოდათ. მუქარა მხოლოდ გამცემის გასაურთხილებლად სჭირდებოდათ და არა მთელი მოსახლეობის დასაშინებლად.

ამასობაში ახალწლებმა მოაწია და გარსევანი და მისი თანამზრახველნი გადაწყვეტენ გომეწარში წასვლას და დღეობის მომიზეზებით რამდენიმე სოფლის მოვლას: ნათესავების, შეგობრების მონახულებასა და გადმობირებას. იმასაც აღნიშნავს: „აქაურ ამბებზე ყოველდღე იგზავნებოდა რადიოგრამა თბილისში“. ხედავთ როგორი კავშირი აქვთ გაბმული პირდაპირ თბილისის უშიშროების კომიტეტთან?! ის რადიოგრამები თავისით ხომ ვერ გაიგზავნებოდა.

გარსევანი წუხილს გამოთქვამს: აქ კი იდგა ჯარის ნაწილები, მაგრამ ზამთრობით ფერდობები საზავეებია და ყინვა 20—25 გრადუსამდე აღწევს, ისე რომ, ჯარის მოქმედების არე შეზღუდული იყოო.

იმ ხანებში ზემო ალვანში რამდენიმე სამანელი შეუპყრიათ, ხოლო რადგან თავკაცები თუშეთში იყვნენ თავშეფარებულნი, „ამიტომ საჭირო შეიქმნა გადამჭრელი ზომები მათზე მიეღოთ და საამისოდ მთაში გასაგზავნი ჯგუფი გაამზადეს კავშალის ხელმძღვანელობით“.

ლეწურში ლეიტენანტი ალექსი ციხკარიშვილი მდგარა თავისი ნაწილით, მაგრამ მას პატრიოტთა დევნა კი არ დაუწყია, თვითონაც სამანელთა მოძრაობას დაკავშირებია, მიუტოვებია სამხედრო ნაწილი, გაუტაცია რამდენიმე ავტომატი და მათთან ასულა (გარსევანის ცნობით ყარაულიც მოუქლავს).

მოსკოვიდან საგანგებო ბრძანება გამოუგზავნიათ: ხალხის შემორიგებას ეცადეთ, ნუ გაამწვავებთ და გაართულებთ მდგომარეობასო. ბრძანების ქვეტექსტი ნათელია: წინააღმდეგობის მოძრაობის მოსპობის მთავარი ხერხი თვითონ სამანელთა შორის განხეთქილების შეტანაა.

გარსევანი და მისი ჯგუფი ზემო ალვანში ამოსულ თელავის მილიციის უფროსს ალხაზოვს გაუზიარებს, ახალწლებზე გომეწრის სოფლის ჩამოვლას ვაპირებთო, რასაც ალხაზოვი არ დაეთანხმება: თქვენი გაშვება იქ არ ივარგებს, ეჭვს აიღებენო.

და აქ ძალზე მზაკვრულ ფანდს დააგებენ: გაითამაშებენ სცენას, თითქოს ჩეკას განზრახული აქვს გარსევანისა და მის თანამზრახველთა თელავში ჩატყვება და იქ დაპატიმრება. ამ ყალბ ცნობას კი წვეროსნებს (სამანელებს) მიაწვდიან ფარული გზით, რათა თვალი აუხვიონ. და კიდეც მიაღწევენ მიზანს, სამანელები შემოუთვლიან: უფრო შორსმჭვრეტელები გვეგონეთ, თელავში არ ჩახვიდეთ, თორემ დაპატიმრება არ აგცდებათო.

და ესენი, როგორც მილიციაუშიშროებისაგან დევნილები, უკვე ისე გადავლენ გომეწარში. ოღონდ ეს ყოველივე ისეა აღწერილი, თითქოს წინასწარ დადგენილ სცენარში კი არ მონაწილეობდნენ, მართლა დევნილები იყვნენ და თავშესაფარად სამანელები ეგულებოდათ.

რადგან თუშეთი ზამთრობით ბარისაგან მოწყვეტილია და სოფლებშიც მიმოსვლა იშვიათია, უცხო კაცი თუ გამოჩნდა, ყველა გამოეგებება, ყველა თავისთან ეპატიჟება ხოლმე ახალ ამბებს დანატრულებულნი, ახლა კი სოფლებში ჩამიჩუმიც არ ისმის. კაცები სადღაც გაკრეფილან, ქალები კი თავს იკავებენ გარსევანისა და მისი მეგობრების შეპატიჟებისაგან. ბედად ვიღაც კაცი გამოუჩნდებათ და ის დაანაყრებთ. საუბრისას გაირკვევა, რომ თანასოფლელნი მას თურმე უნდობლად უყურებენ. გარსევანი გვიმტკიცებს: ბეჩავი კაცი იყო და იმიტომო, მაგრამ ნუთუ ეს დასაჯერებელია, ნუთუ ხიბეჩავე იწვევს უნდობლობას?..

უეცრად ხმა გაისმის: მოდიან, მოდიანო. და გარმონიც აჩქამდება. ესენი დაინახავენ, რომ გოგრაულთის მხრიდან ცერცერ გაწალიკებული მოდის ოცამდე ადამიანი. შეხვედრას დიდი ხმაური გამოუწვევია და ასევე გარმონის დაკვრით მიუცილებიათ სოფლამდე. ცხადია, ეს აღმონდა სამანელთა რაზმი.

საღამოს სუფრაზე ამათაც მიიწვევენ და გარსევანს გიგო ქააძე მოისვამს გვერდით. ჰკითხავს: ჩვენთან ამოსვლა როგორ მოიფიქრეთო. „მე ყველაფერი სიმართლე ვუთხარიო“, აღნიშნავს გარსევანი. სინამდვილეში კი ეს ფრაზა გულისხმობს, რომ ის შეთხზული ვერსია გაუცვნია. გიგო ეჭვს გამოთქვამს: ჩვენ ხომ ადრევე დაგიბარეთ, გენახეთ, მაშინ რატომ არ ისურვეთო. გარსევანი თავის დაძვრენას ცდილობს: ვერ მოხერხდა, უფროსები არ გვიშვებდნენო; მაგრამ ამით ეჭვს ვერ გაუქარწყლებს. და შემთხვევითი არ არის, რომ გიგო მას გვერდიდან არ იცილებს.

ყოველდღე ახალ-ახალ სოფლებში დადიან: აქედან ვესტმოში, ვესტმოდან საჩიღოლოში, საჩიღოლოდან ბუხურთაში, იქიდან ილურთაში, მერე ალისგორში და იმავე საღამოს კოკლათას ეწვევიან. მთ ყველგან პურმარილით ხვდებიან და გარსევანი მას ასე ხსნის: შიშით მოსდიოდათო... ვითომ ასე, ვითომ შიში რომ არა, მოსახლეობა სტუმრებს, თანაც ასე სახელიანებს, პურძვირად დახვდებოდა?

ბოლოსდაბოლოს, სამანელებსა და ანტისამანელთა სამეულს კონფლიქტი მოუხდებათ. გარსევანი ამასაც პროპაგანდისტული მოთხრობის სტილით გვიამბობს: თუ როგორ არ შეეპუებიან სამნი ოცს, თვითონ გარსევანი როგორ არ დაანებებს გიგოს ნაგანის ამოღებას და იძულებით დასვამს სკამზე; როგორ მოაკითხავენ საღამოს გიგო და ადამ ბიბღიაშვილი ანგარიშის გასასწორებლად, მაგრამ ესენი არ დაფრთხებიან და იარაღმომარჯვებულნი შეეგებებიან, ათიოდე წუთს როგორ ჭამენ ერთმანეთს თვალებით, თუმც ამას სროლა აღარ მოჰყვება და სამანელთა თავკაცები უკან გაბრუნდებიან.

როგორი მანერითაც უნდა იყოს ნაამბობი, მთავარი ისაა, რომ გარდუვალი კონფლიქტი დიდხანს ვერ დაფარავდა თავს და საბაბი, რაც ისედაც მოსალოდნელია, ეს ყოფილა: ამით ჭკუის დარიგება მოუნდომებიათ სამანელთათვის და გადაკრული სიტყვით გზიდან აცდენილებად შეურაცხავთ. ვითარების მიხედვით ისიც აშკარაა, რომ ამასობაში ვიღაც-ვილაცების გადმობირება მოუსწრიათ და მათი იმედით გაუდიდგულდნენ პატრიოტებს.

შეჯახების მერე იქ უკვე აღარ დაედგომებოდათ და უკან გამობრუნება გადაუწყვეტიათ, მაგრამ მანამდე ერთხელ კიდევ მოუწიათ წვეროსნებთან შეხვედრა. გიგო თავიანთ ბინაზე (ეს „ბუნაგად“ იხსენიებს) დაიბარებთ და პირდაპირ მიახლით: ალბათ თქვენს სამუშაოს დაუბრუნდებით, თქვენ ხომ ჩვენი მოსპობა გაქვთ დაავალებული, ეს ყველაფერი კარგად ვიცით, მაგრამ მაგას ვერ მოესწრებითო. ცხადია, ესენი მტკიცებას დაუწყებენ, ეგეთი განზრახვა არა გქონიაო, და ვითომ იმასაც დასძენენ: ეს რომ გვდომოდა, კიდეც გესროდით, თქვენი თანამზრახველნი თქვენი გულისთვის თავს არ გამოიდებენ, რადგან ძალით გყავთ შეკოწიწებულიო.

რასაკვირველია, ასეთ ფრაზას იქ არც და ვერც იტყოდნენ და ალბათ მხოლოდ თავს იმართლებდნენ, მაგრამ ამაოდ. ყოველ შემთხვევაში, სამანელებს რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი არ მოეპოვებოდათ მათი მხილებისათვის („ეს ყველაფერი კარგად ვიცით“ მარტოდენ ინტუიციურ მიხვედრას გამოხატავს) და ეჭვზე დაყრდნობით ვერც გადამჭრელ ზომებს მიიღებდნენ; მათი თანხლება კი აღარ ისურვეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მიერ აღებულმა პოლიტიკურმა კურსმა უდიდესი სისხლის, მსხვერპლისა და ნგრევის შემდეგ სუვერენიტეტის ნიშნების საბოლოო მოსპობის საფრთხემდე მიგვიყვანა. რუსეთის იმპერიალიზმმა და მისმა მსახურებმა ხელოვნურად შექმნილი მართვადი ქაოსის საშუალებით ქვეყანას თავისუფლებისაკენ მიმავალი ყველა გზა გადაუკეტეს.

თითქოს ბედის ირონიაა, რომ ე.წ. სნგ-ში შესვლის კამპანია გეორგიევსკის ტრაქტატის 210-ე წლისთავზე იმავე დასმა წამოიწყო, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის დამამცირებელი თარიღის ზეიმის ორგანიზატორი იყო. ამ დასის წყალობით ჩრდილოეთის საპყრობილეებში მრავალი ქართველი პატრიოტი აღმოჩნდა, რომელთაც ამ ზეიმის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავიდანვე აცხადებდა, რომ ამჟამინდელი სახელმწიფო კურსი არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. ვფიქრობთ, — განუხორციელებელი ეკონომიკური რეფორმები, აფხაზეთის მარცხი, სახალხო ლაშქრის დონეზე დარჩენილი მოსახლეობა, უკვე გაჩაღებული სამოქალაქო ომი, რუსეთის სახელმწიფოსთან ერთვნული ღირსების შემლახავი ურთიერთობები, პარლამენტის გეგმაზომიერი დისკრედიტაცია და 14 სექტემბრის ფაქტობრივი სახელმწიფო გადატრიალება, დახავსებული კადრების მოზიდვა, ადამიანის უფლებათა სულ უფრო და უფრო უცერემონიო შელახვა, და სხვა მრავალი, ზემოაღნიშნულის ნათელი დასტურია. სწორედ ამ მიზეზით აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ოპოზიციაში.

იდეოლოგიური და იურიდიული საფუძველი საქართველოს სნგ-ში შესაყვანად კარგა ხანია მზადდებოდა. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ არაერთი განცხადება გააკეთა.

ერთის მხრივ, სახელმწიფოს მეთაურისა და მისი კურსის მხარდამჭერთა გამოსვლები და განცხადებები იმისა, რომ ჩვენ სახელმწიფო არა ვართ, რომ რუსეთის გარეშე შიმშილით ამოვწყდებით (სხვათაშორის, ამასვე ქადაგებს ვ. ჟირინოვსკიც) და ა.შ. ქართველ ერში არასრულფასოვნების კომპლექსს აყალიბებდა: ხოლო მეორეს მხრივ, — ქართველ დიდმოხელეთა ვოიაჟები და ქმედებები, წინასწარი მოლაპარაკებები და სნგ-ს დოკუმენტებზე ხელმოწერები ნიადაგს ამზადებდა რუსეთის (სნგ-ს) პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეკონომიკურ სივრცეში გასაერთიანებლად.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სნგ— ს წესდება. მასში თითქმის არ მოიძებნება პუნქტი, რომელიც რეალური პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს დააკმაყოფილებდეს. მაგრამ ეს წესდება თავის სამართლიანობითა და დემოკრატიულობით მსოფლიო შედეგრსაც რომ წარმოადგენდეს, განა სახიფათო არაა ის იმპერიალისტური ზონა, რომელშიც მან უნდა იმოქმედოს? თავის მოტყუებაა იმის მტკიცება, რომ რუსეთის სახელმწიფოს დამოკიდებულება საქართველოსადმი და საერთოდ მისი პოლიტიკური კურსი 3-4 ოქტომბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა, და ამიტომ თითქოს პრობლემა აღარაა მასთან ურთიერთობა. ალბათ საკითხისადმი ასეთ გულუბრყვილო მიდგომას გულისხმობდა თბილისში, რუსეთის საელჩოსთან ელცინის მხარდამჭერი მიტინგები და იქ გამოტანილი ერთი პლაკატის შინაარსი: „ვინც ე. შევარდნაძეს ებრძვის, ის ბ. ელცინს ებრძვის!“.

მართლაც, თუ რუსეთში ჭეშმარიტად დემოკრატიამ გაიმარჯვა, მაშინ სნგ-ში ჩვენს შეუსვლელადაც საქართველოს დამოუკიდებლობას არაფერი უნდა ემუქრებოდეს და ორი ქვეყნის ურთიერთობა, როგორც ეს ცივილიზებულ მსოფლიოშია მიღებული, სრულიად თანასწორუფლებიან, ორმხრივხელსაყრელ, ნორმალურ ხელშეკრულებას შეიძლება დაეფუძნოს. ხოლო თუ რუსეთი ისეთივე იმპერიალისტური დარჩა, როგორიც იყო, მაშინ აქვს კი აზრი მასზე იმედის დამყარებას? ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთს, რომელმაც საქართველოს საშინაო საქმეებში თავხედურ სამხედრო ჩარევასთან ერთად, საკმაოდ სოლიდური კაპიტალიც დააბანდა (აფხაზურ და სხვა „საქმეებში“), სნგ-ში ჩვენი შეყვანა მხოლოდ საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის უნდოდეს და საერთოდ, გაურკვეველ პოლიტიკურ ვითარებაში მყოფი სახელმწიფოს გავლენის სფეროში შესვლას, რაც ეკონომიკურადაც უპერსპექტივოა, დიდ წინდახედულობად ვერ მივიჩნევთ.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება უკიდურესად შეძრწუნებულია საქართველოში გამეფებული ქაოსითა და სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებით. ეს შედეგია ტოტალიტარული მენტალიტეტის მქონე პოლიტიკოსთა შეუზღუდავი პარპაშისა. მათ, როგორც ჩანს, თანამდებობები და შემოსავლები უფრო აღელვებთ, ვიდრე საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა და მომავალი. დემოკრატიული ძალები, მათ შორის ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც, რომლებისთვისაც მიუღებელია, როგორც ყოფილი, ასევე ამჟამინდელი ხელისუფლების კურსი, პოლიტიკურად უკიდურესად შევიწროებულია. საყოველთაოდ ცნობილია, ბევრ შემთხვევაში, სადაც პოლიტიკურ ოპოზიციას პატივს არ სცემენ, როგორც წესი, აბუჩად იგდებენ ადამიანის სხვა ელემენტარულ უფლებებსაც. მართლაც, ჩვენში უკვე დაუფარავად ითრგუნება ჯერ კიდევ მოუმაგრებელი დემოკრატიული ინსტიტუტები, განტევების ვაცადაა ქცეული პარლამენტი, რეაქციული ძალები მის დაშლასა და ჩაქოლვას მოითხოვენ. სახელმწიფოს მეთაურმა უკვე აშკარად მოითხოვა თავისუფალი პრესის აკრძალვა და ოპოზიციისათვის ტრიბუნის ჩამორთმევა. (სახ. მეთაურის 17-18 ოქტომბრის გამოსვლები). ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა კიდეც კონკრეტული ნაბიჯები. „ზვიადიზმის“ ბრალდებით ხდება სხვაგვარად მოაზროვნეთა მასობრივი დაპატიმრებები და რეპრესიები, რეაქციონერთა მიერ გაისმის მოწოდებები იმ პოლიტიკური პარტიების აკრძალვისა და მათი ლიდერების დაპატიმრებებისა, რომლებსაც სახელმწიფო მეთაურისაგან განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნიათ, დამყარებულია მკაცრი ტელედიქტატურა. სასაცილოა, როდესაც ერთი მხარე „ზვიადიზმს“ მასზე ბევრად უფრო „ზვიადისტური“ და მიუღებელი ფორმებით ებრძვის და აღვირახსნილ ძალადობას აკანონებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესების საპირისპიროდ, უცხო ძალების იმედით სამოქალაქო ომში ჩაბმულმა ორივე ლიდერმა, რომ ვერ შეძლეს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და საოჯახო [illegible] ახლა საყოველთაო არჩევნებამდე უპირობოდ უნდა თქვან უარი თავიანთ პოლიტიკურ ამბიციებზე, რათა შეწყდეს სისხლისღვრა, დამყარდეს ზავი, მომზადდეს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია. დაინიშნოს არჩევნები და შეირჩეს მმართველობის ოპტიმალური ვარიანტი ახალ არჩევნებამდე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
16. 10. 93.

დუბაი — მიმზიდველი ტური საქმიანი ხალხისათვის

მას, ვისაც სურს მოინახულოს არაბთა გაერთიანებული საემიროები და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოები, საზოგადოება „იმერეთი“ საერთაშორისო ტურიზმის სააგენტოსთან ერთად გთავაზობთ კომფორტაბულურ მოგზაურობას დუბაიში

ვინც გააკეთებს სწორ არჩევანს და ისარგებლებს ჩვენი მომსახურეობით, ვთავაზობთ მოგზაურობას თბილისიდან თბილისამდე, დუბაის ცენტრში მდებარე 3, 4 ან 5 ვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრებას (სურვილის მიხედვით) 2 ან 3-ჯერად კვებას (სურვილის მიხედვით), ექსკურსიებსა და სატრანსპორტო მომსახურეობას, საერთაშორისო ნორმებით დაშვებული სტანდარტული და არასტანდარტული ბარგის გადაზიდვას, ხელს შეგიწყობთ ავტომობილების შეძენაში, შეგიქმნით პირობებს კარგი დასვენებისა და სარგებლიანი მოგზაურობისათვის.

მსურველებს აგრეთვე ვთავაზობთ ეგზოტიკურ მოგზაურობას აღმოსავლეთ აზიასა და ინდოჩინეთის ქვეყნებში. თქვენ გეძლევათ საშუალება მოინახულოთ ჰონკონგი, ბანკონგი, სინგაპური...

ჩვენი მისამართია დავით აღმაშენებლის გამზირი № 7:, II სართული. ტელ :5-72—07. ყოველდღე, გარდა კვირისა,12-18 საათამდე.

იყიდება

უაზ-432ა. ახალი კაპიტალური რემონტით.

ტელეფონები: 60—37-38, 60—60—36

* * *

ოთხი ხის ჩარჩო (სიმაღლე — 163 სმ; სიგანე — 111 სმ.) ფრამუგებით და რვა ფანჯრით.

ტელეფონი: 60—60—36

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კოპაძიძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447
ფასი
600 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა“-ში
ტელ:
93—83—07, 29—49—60